GCSD

COVID-19-ის გავრცელების ფონზე საქართველოში საინფორმაციო და ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის, ქსენოფობიის, რასიზმის, ძალადობრივი და რადიკალური მოწოდების შემცველი ნარატივების ტენდენციების მონიტორინგი

Norwegian Ministry
of Foreign Affairs

GCSD

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ პროექტის „ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება“. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და იგი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ან საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიცია და მოსაზრება.

ავტორის შესახებ

ქეთი სართანიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სოციოლოგიის ბაკალავრი. 2014 წლიდან ის მონაწილეობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და თემების კვლევაში. მისი კვლევის ინტერესი მოიცავს სოციალურ ჯგუფებსა და მოძრაობებს, პოსტ-სოციალირსტურ ტრანსფორმაციას, ნაციონალიზმს, იდენტობას, ურბანულ საკითხებსა და სოციალურ მედიას. ის არის რამდენიმე სტატიის ავტორი და თანაავტორი. ამჟამად, არის დამოუკიდებელი მკვლევარი.

სარჩევი

ანგარიშში გამოყენებული მონაცემების ძირითადი ტენდენციები: 1

შესავალი 3

ინფოდემია 3

კვლევის მიზანი 4

მკაცრი იზოლაცია და ინტერნეტის მოხმარების ზრდა 4

კონტექსტი 7

მეთოდოლოგია 8

კვლევის შეზღუდვა 8

შერჩევა 9

მონაცემების ანალიზი 10

მონაცემთა შეჯამება 29

ბიბლიოგრაფია 34

ანგარიშში გამოყენებული მონაცემების ძირითადი ტენდენციები:

მედია

- მედია ასოცირდება ლიბერალურ იდეოლოგიასთან ან უცხოეთიდან დაფინანსებულ ჯგუფებთან, რომელსაც კონკრეტული დავალება, ამ შემთხვევაში, ეკლესიის როლის დაკნინება აქვს დავალებული;
- ჟურნალისტების მიმართ უნდობლობა და სიცრუის ტირაჟირებაში მათი დადანაშაულება;
- ჟურნალისტების მიერ ქართული ენის არცოდნა, გამართული ქართულით მეტყველების პრობლემა;
- ლიბერალური იდეოლოგიის გამტარი მედიის მიმართ იმედგაცრუება და უნდობლობა;

რელიგია

- პანდემია, როგორც მართლმადიდებელი ქართველების წინაშე არსებული განსაცდელი, გამოცდა;
- მრევლის ნაწილში პანდემია და ვირუსი ხელოვნური ან არარსებული მოვლენაა, რომელიც მასონების ან სატანის ჩარევით განხორციელდა ქრისტიანი მართლმადიდებლების, ქართველების გამოსაცდელად;
- მრევლის ნაწილმა პანდემია და ეკლესიაში მისვლის დროებით შეზღუდვაზე მიმდინარე დისკუსია მიიღო, როგორც მათი რელიგიის წინაშე არსებული განსაცდელი და რწმენის გამოცდა;

  პანდემია არ არსებობს და ეკლესიის დროებითი დახურვა ხარკია იმ დახმარების სანაცვლოდ, რასაც საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს;
- რელიგიური დღესასწაულის დროს ექიმების განცხადებების, შეზღუდვების დაწესებისა თუ წესების დაცვისკენ მოწოდებების გამო, ინფექციონისტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება;
- ეკლესიისა და მრევლის მიერ დროებითი შეზღუდვები ქრისტიანების დევნად იქნა აღქმული;

ევროკავშირი

- იტალიასა და ესპანეთში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბი და ევროკავშირის პასიურობა/საპასუხო ქმედებები, ქართული ულტრაკონსერვატიული განწყობებისთვის ევროსკეპტიციზმის ძლიერი საბაბი აღმოჩნდა;

მარნეული

- მარნეულის შემთხვევაზე არსებული კომენტარები შეეხებოდა ნაციონალური იდენტობის სამ ასპექტს: მარნეულის მაცხოვრებელთა ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიასა და ქართული ენის არცოდნას/ენის საკითხს;

ჩინეთი

- ჩინეთის მიმართ არსებულ განწყობებში დომინირებდა უარყოფითი დამოკიდებულება პანდემიის შესახებ ინფორმაციის დროულად არგავრცელების გამო, ჩინეთის მიმართ გამოძიების დაწყების მოთხოვნა და მისი დასჯა ჩინური პროდუქციისთვის ბოიკოტის გამოცხადებით;

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

- სკეპტიციზმი და უნდობლობა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ; მისი ლიბერალური იდეოლოგიის გამტარებლად აღქმა, ორგანიზაციის მიერ წარსულში მიღებული გადაწვეტილებების - გენდერული პოლიტიკისა თუ ჰომოსექსუალობის დაავადებათა სიიდან ამოღების გამო;

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ გამოხატული უნდობლობა პანდემიის დროულად არგამოცხადების გამო;

- რასისტული და ქსენოფობიური შინაარსის კომენტარები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ლიდერის გარეგნობის მიმართ და მისი კანის ფერის გამო;

- კორონავირუსი და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები თუ ცვლილებები ხელს შეუწყობს ვაქცინის მომხრეების რაოდენობის ზრდას. პანდემიას კომენტარების ავტორების ნაწილი გლობალურად მართულ პროცესად მიიჩნევს, რათა ვაქცინები, ჩიპები და 5G ქსელური ტექნოლოგია გავრცელდეს.

ტურიზმი

- მთავრობის მიერ ჯერ კიდევ საგანგებო მდგომარეობის პირობებში ტურიზმის ანტიკრიზისული გეგმის გამოცხადებამ და ტურისტებისთვის საზღვრების გახსნის

დაანონსებამ მთავრობის მიმართ ნეგატიური განწყობა გააჩინა და კიდევ უფრო გააძლიერა და წაახალისა ვირუსის (არ)არსებობის რწმენა თუ ინფექციონისტების მიმართ უნდობლობა.

შესავალი

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ახალი ვირუსი კოვიდ-19 პანდემიად გამოაცხადა. ვირუსი ახალია, მის შესახებ ნაკლები ინფორმაცია არსებობს და მისი განახლება ყოველდღიურად, უწყვეტ რეჟიმში ხდება. ამ გარემოებამ დამატებით ხელსაყრელი პირობა შექმნა არასწორი, ყალბი და მიზანმიმართული დეზინფორმაციის გასავრცელებლად კონკრეტული ჯგუფებისა თუ ღირებულებების დემონიზების მიზნით.

გარდა პანდემიისა, ახალი კოვიდ-19 ინფოდემიადაც გამოცხადდა. სწორედ ამიტომ, ინფორმაციამ და მისი გავრცელების გავლენამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ვირუსის გადაცემის ყოველი ახალი შემთხვევა მედიაში მის გეოგრაფიულ არეალთან ერთად ცხადდება, რაც ქსენოფობიური თუ რასისტული განწყობების გასაღვივებლად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა და ქმნის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მედიას არ აქვს პანდემიის გაშუქებასა და მასთან დაკავშირებულ ინფოდემიასთან ბრძოლის გამოცდილება და სტრატეგია.

ინფოდემია

2020 წლის 28 მარტს, ანტონიუ გუტერეშიმ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცხრე გენერალურმა მდივანმა, ტვიტერის ოფიციალურ ანგარიშზე გამოაქვეყნა განცხადება - ,,ჩვენი საერთო მტერი არის #კოვიდ19, თუმცა ჩვენი მტერი ასევე, დეზინფორმაციის ,,ინფოდემიაა". კორონავირუსის გადასალახად საჭიროა, ხელი შევუწყოთ ფაქტებს, მეცნიერებას, იმედს, სოლიდარობას და არა სასოწარკვეთილებასა და დაყოფას."[2] ,,ბრძოლა მიმდინარეობს არა მხოლოდ ეპიდემიასთან, არამედ, ინფოდემიასთანაც" - 2020 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, ჯანმოს დირექტორმა საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ექსპერტებთან შეხვედრაზე გერმანიაში, მიუნხენში განაცხადა, რომ ყალბი ინფორმაცია ,,უფრო მალე ვრცელდება, ვიდრე თავად ვირუსი."[3]

2020 წლის 11 მარტს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მსოფლიო პანდემიასთან ერთად გამოაცხადა ინფოდემია. ამ შედარებით ახალმა ტერმინმა ისეთ გარემოში, სადაც ონლაინ პლატფორმებზე უკვე არსებობდა სხვადასხვა, მათ შორის, ჯანდაცვის (ვაქცინები) თემასთან დაკავშირებიული დეზინფორმაცია, კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააყენა სხვადასხვა სოციალური, სახელმწიფო თუ ჯანდაცვის ინსტიტუტები.

- [1] Novel Coronavirus(2019-nCoV) Situation Report – 13; https://bit.ly/38DwokM
- [2] António Guterres @antonioguterres · Mar 28 Our common enemy is #COVID19, but our enemy is also an "infodemic" of misinformation; 28/03/2020; https://bit.ly/2YLF4m1
- [3] UN tackles 'infodemic' of misinformation and cybercrime in COVID-19 crisis; https://bit.ly/2BU7eC9

ჯანმო განმარტავს, რომ ინფოდემია პრობლემის შესახებ ინფორმაციის სიჭარბეა, რაც ართულებს გამოსავლის ძიებას. ,,მათ შეუძლიათ გაავრცელონ დეზინფორმაცია და ჭორები ჯანდაცვის კრიზისის დროს. ინფოდემიებს შეუძლია ხელი შეუშალოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის გამოწვევებზე ეფექტიან რეაგირებას, შექმნას გაურკვევლობა და გააღვივოს უნდობლობა ადამიანებს შორის."[4]

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს ახალი კორონავირუსის გავრცელების შემდეგ ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა უმცირესობების მიმართ ქსენოფობიური და რასისტული განწყობების შინაარსისა და მახასიათებლების ტენდენციების გამოკვეთა.

მკაცრი იზოლაცია და ინტერნეტის მოხმარების ზრდა

მკაცრი იზოლაციის გამოცხადებასა და ინტერნეტის მოხმარების ზრდას შორის კავშირი არსებობს. კიბერუსაფრთხოების კომპანია, Akamai Technologies უზრუნველყოფს ვებ და ინტერნეტ უსაფრთხოების სერვისებს. Akamai ერთ-ერთი უდიდესი გამანაწილებელი პლატფორმაა, რომელიც ვებტრაფიკის 15%-დან 30%-მდეა პასუხისმგებელი. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის, ადამ კერონის[5] განცხადებით, თუ ინტერნეტის მოხმარების პიკური დრო საღამოს 5 საათიდან საღამოს 11 საათამდე იყო, ახლა ეს დრო დილის 8-დან საღამოს 11 საათამდეა გაზრდილი. ეს არის გლობალური მაჩვენებელი. დრო, როცა ონლაინ არ ვართ, არის მაშინ, როცა გვძინავს, ამბობს ის[6]. Akamai-მ შეადარა გლობალური ინტერნეტის გამოყენება და ინტერნეტის გამოყენება იმ ქვეყნებში, სადაც პირველად გამოცხადდა მკაცრი იზოლაცია (ჩინეთი, იტალია, კორეა და იაპონია). კომპანიის დაკვირვების მიხედვით, ჩინეთის მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენება ოდნავ დაბალი იყო ვირუსის მასშტაბურად გავრცელებამდე პერიოდში (შესაძლოა, ახალი წლის დღესასწაულის გამო) მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, თუმცა, მკაცრი იზოლაციის დაწყებისას ეს მაჩვენებელი ამ ქვეყნებში 30%-ით გაიზარდა. მაგალითად, თებერვლის პირველ ორ კვირაში, ინტერნეტ აპლიკაციების გადმოწერის რიცხვი 40%-ით გაიზარდა წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით (App Annie-ს მიხედვით)[7].

- [4] UN tackles 'infodemic' of misinformation and cybercrime in COVID-19 crisis; https://bit.ly/2BU7eC9
- [5] ადამ კარონი არის Akamai– ს მედია განყოფილებების აღმასრულებელი ვიცე პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი.https://bit.ly/2ZQ8M8z
- [6] The Network Impact of the Global COVID-19 Pandemic; Mary Branscombe; 14/04/2020; https://bit.ly/31uZa5G
- [7] აპლიკაციისა და მონაცემთა ანალიზის კომპანია App Annie; https://bit.ly/3e2bgWE

2019 წლის მონაცემებით, საქართველოში ინტერნეტით უზრუნველყოფილია შინამეურნეობის 79.3%[8]. მონაცემები წინა წელთან შედარებით 3.5%-ით არის გაზრდილი. ,,ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა ყველაზე მაღალია 15-29 წლის მოსახლეობაში და 96.2 პროცენტს შეადგენს.[9] " საქსტატის ანგარიშის (გვ.3) მიხედვით ინტერნეტის გამოყენების ძირითად მიზნებს 15 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეებისთვის წარმოადგენს:

- სოციალური ქსელების გამოყენება (96.0%);
- ინტერნეტ (აუდიო/ვიდეო) კავშირი (85.6%);
- ონლაინ ახალი ამბების/გაზეთების/ჟურნალების წაკითხვა (55.4%);
- ელ. ფოსტის მიღება/გაგზავნა (53.8%);
- ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება (51.7%).

NDI-ს 2019 წლის გამოკითხვის მიხედვით კი, გამოკითხულთა 69%-სთვის ,,პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ" ინფორმაციის პირველწყარო ტელევიზიაა, მეორე წყაროდ ინტერნეტს ასახელებს - 24%[10]. ამავე კვლევის მიხედვით, ინტერნეტს ყველაზე ხშირად იყენებენ სოციალური ქსელის, ფეიბუქისთვის (72%).

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ინტერნეტის გამოყენება ახალგაზრდებში (15-29) 92.2%-ია, მათი 96%-სთვის კი, ინტერნეტის გამოყენება სოციალური ქსელის, ფეისბუქის მოხმარებას უკავშირდება. გამოკითხულთა ის ნაწილი, ვინც ინტერნეტს იყენებს ახალი ამბების გასაგებად, ამბობს, რომ სოციალური მედია (ფეისბუქი, ტვიტერი, ბლოგები) ეხმარება ახალი ამბების უკეთ გაგებაში (37%), თუმცა 14% ამბობს, რომ სოციალური ქსელი მათ აბნევს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ხოლო 36% თვლის, რომ სოციალურ მედიას მათზე გავლენა არ აქვს[11]. ამდენად, ეს მაჩვენებლები მიუთითებს სოციალურ ქსელში გაზიარებული ინფორმაციის მნიშვნელობასა და მის როლზე მოქალაქეთა, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ინფორმირებაზე.

- [8] საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში (2019 წელი); - მონაცემთა შეგროვება განხორციელდა 2019 წლის ივლისში; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; https://bit.ly/3dMDjco
- [9] საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; 2019; გვ.3; https://bit.ly/2BOraGI
- [10] ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) კვლევა 2019 წლის 19 ნოემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით ჩაატარა. საქართველოს მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით), 2 180 პირი (გამოპასუხება 35) პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე გამოიკითხა. საშუალო ცდომილების ზღვარი 1,9 პროცენტია; https://bit.ly/2zdaQ1e
- [11] შემცირდა ინფორმაციის პირველწყაროდ ტელევიზიის გამოყენება, ნდობა 'რ2-ის' და 'იმედის' მიმართ - NDI-ს კვლევა მედიაზე; 16/01//2020 https://bit.ly/3cIksil

2020 წლის დასაწყისიდან მედიასაშუალებების საინფორმაციო გადაცემები ვირუსის შესახებ ინფორმაციამ მოიცვა. გარდაცვლილთა და დაინფიცირებულთა სტატისტიკის ხშირი განახლება, ვირუსის გავრცელების რისკების შესახებ ინფორმაცია, ვირუსის ამოუცნობი ხასიათი და არაპროგნოზირებადი მომავალი, ფიზიკური დისტანცირება და ეკონომიკური რისკები ადამიანების მენტალურ ჯანმრთელობაზე ძლიერ გავლენას ახდენს. ასეთმა პირობებმა შეიძლება ადამიანების ქცევასა და გადაწყვეტილებებზე იქონიოს გავლენა. დაავადების მუდმივი რისკისა და შიშის ქვეშ ცხოვრება, იზოლაცია, გაურკვეველი მომავალი და ეკონომიკური კრიზისი ადამიანებს უფრო კონსერვატული განწყობებისკენ უბიძგებს. კაცობრიობის ისტორიაში არსებობს ინფექციის გავრცელების შემთხვევები, რომლებმაც მილიონობით მეტი ადამიანი შეიწირა, ვიდრე ომმა[12]. ამ ტიპის ისტორიულმა გამოცდილებამ და ასევე, ,,ინფექციის გავრცელების შიშმა, ზოგიერთ დაავადებაზე მკვეთრად განვითარებულმა რეაგირებამ, უბიძგა ადამიანებს, მათი ქცევა გამხდარიყო უფრო კონფორმისტული და ტრაიბალისტური[13].

პანდემიისთვის დამახასიათებელ გარემოში, სადაც ადამიანებს უწევთ უფრო მეტი ნორმების დაცვა, იზრდება კონვენციური წესების მიმართ ერთგულება, რწმენა და მათი შესრულების მოთხოვნა. ასეთი გარემო სოციალურ კონტროლს აძლიერებს. ცხადია, ადამიანები მაინც არღვევენ წესებს და ნებისმიერი წესის დარღვევა, რომელიც შეიძლება პირდაპირ კავშირში არ იყოს პანდემიასთან, სხვა ადამიანებში იწვევს გაძლიერებულ მორალურ განსჯას, რაც იმის შიშით არის განპირობებული, რომ ისინი პანდემიის სავალდებულო წესებსაც დაარღვევენ და ამით გაზრდიან ვირუსის გავრცელების საფრთხეს. იზრდება დაავადების შიში, წესების დაცვის მოთხოვნა და მატულობს უცხოთა მიმართ უნდობლობა. განსაკუთრებით იზრდება ნეგატიური განწყობა განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების მიმართ. მაგალითად, თუ ვირუსამდე პერიოდში ადამიანები ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას მათგნ განსხვავებული კულტურის ადამიანების იმ ქცევას, რაც დღეს მიჩნეულია ვირუსისგან პრევენციის ზომად (ხელების ხშირი დაბანა, ან პირბადის ტარება, ან ფიზიკური დისტანციის დაცვა), დღეს ეს დაკვირვება გამძაფრებულია უცხოს მხრიდან ვირუსის უნებლიეთ (ან განზრახ) გავრცელების შიშით (Schaller, 2016). დღეს ასეთი განწყობები შესაძლოა ქსენოფობიის წყაროდ იქცეს. ლოგიკა კი, რომელიც თან ახლავს ამ ქცევას, ასეთია: ,,სინანულს სიფრთხილე სჯობს."[14] (Lene Aarøe).

ადამიანების ქცევითი (ბიჰევიორული) იმუნური სისტემა განსხვავდება. ზოგი ადამიანი მეტად გამოხატავს მიუღებლობას უცხოს მიმართ, ზოგი კი - ნაკლებად. მათთვის, ვისაც ნაკლები მიმღებლობა აქვს უცხოს მიმართ, პანდემია და ინფექციის გადაცემის შიში უფრო აძლიერებს უკვე არსებულ განწყობებსა და დამოკიდებულებებს (Aarøe).

[12] The Influenza Pandemic of 1918; https://stanford.io/2BOuyBF

[13] კუთხურობის გამოვლენა სახელმწიფოებრივ დონეზე, როცა საკუთარი კუთხის (რეგიონის) წარმომადგენლებს სხვებთან შედარებით უპირატესობა ენიჭებათ. დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა: სატრენინგო მასალები; ბეგიაშვილი, ბოსტოღანაშვილი, ლეჟავა და სხვ. - თბ., 2007 https://bit.ly/3gxMJue

[14] "Better safe than sorry' logic"; Lene Aarøe at Aarhus University in Denmark

კონტექსტი

საქართველოში, ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული ყველაზე რეზონანსული შემთხვევები მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტს უკავშირდება. 22 მარტს ,,მარნეულში 62 წლის ქალს კორონავირუსი დაუდგინდა".[15] 2020 წლის 23 მარტს, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტები ჩაიკეტა. მიზეზად მარნეულში მცხოვრები ქალის კოვიდ-19-ით ინფიცირების წყაროს ვერმიგნება დასახელდა. აიკრძალა მუნიციპალიტეტში შესვლა და გამოსვლა. მარნეულის შესასვლელებში განთავსდა 12 ბლოკ-საგუშაგო. ამ ფაქტის შემდეგ გამოცხადდა, რომ ქვეყანა გადავიდა[16] კორონავირუსით ინფიცირების შიდა გავრცელების ეტაპზე. 22 მარტს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა, ხოლო 31 მარტიდან საყოველთაო კარანტინი გამოცხადდა[17].

ოფიციალურად, მარნეულში 137,314 ადამიანი ცხოვრობს. მუნიციპალიტეტი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ ვხვდებით აზერბაიჯანელებს, ქართველებს, სომხებს, მუსლიმებს, ქრისტიანებსა თუ გრიგორიანელებს. მარნეულის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ვკითხულობთ, რომ ,,სარწმუნოების მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაჰმადიანია, შემდეგ მოდიან მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა ძირითადად არის სომხურ-გრიგორიანელი."[18] გარდა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებისა, მარნეულის მაცხოვრებლები ენობრივი მახასიათებლითაც განსხვავდებიან. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ძირითადად, აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობს. დაბალია ქართული ენის ცოდნის დონე. სწორედ ამიტომ, მარნეულში დაფიქსირებული პირველი შემთხვევის შემდეგ, სახელმწიფომ დაიწყო ინფორმაციის სამ ენაზე გავრცელება. პანდემიისა და ინფოდემიის პირობებში კი, ინფორმაციის გავრცელება პრევენციის ერთ-ერთი მთავარი წყარო აღმოჩნდა. მარნეულის მუნიციპალიტეტი 18 მაისს გაიხსნა.

ამ შემთხვევის შემდეგ, ქართულ ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა ქსენოფობიური შინაარსის შემცველი მასალები ონლაინ საინფორმაციო სააგენტოების ხელშეწყობით თუ ცალკეული მომხმარებლების მხრიდან. ვირუსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება გასცდა სამედიცინო თუ პოლიტიკურ სფეროს. სახლში დარჩენის აუცილებლობამ და ინტერნეტის, განსაკუთრებით სოციალური მედიის (ფეისბუქი) მოხმარების გააქტიურებამ, ასეთ განწყობებზე დასაკვირვებლად ხელსაყრელი გარემო შექმნა.

---

[15] მარნეულში 62 წლის ქალს კორონავირუსი დაუდგინდა; 22/03/2020; https://bit.ly/38zmgtD

[16] მარნეული და ბოლნისი დაიკეტა – კარანტინი; 23/03/2020; https://bit.ly/2ZqXx7U

[17] დღეიდან საქართველოში საყოველთაო კარანტინი და ე.წ. კომენდანტის საათი ამოქმედდა; 31/03/2020; https://bit.ly/308CN3R

[18] მარნეულის მუნიციპალიტეტი; https://bit.ly/3gUUjiN

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც დაფუძნებულია მონაცემების ანალიზზე, მონაცემების რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების სინთეზის მეშვეობით.

განწყობების კვლევა ეფუძნება ინტერნეტ მომხმარებლების მიერ კვლევისთვის წინასწარ შერჩეული ონლაინ მედია საშუალებების კომენტარის ველიდან შეგროვებულ მონაცემებს. კვლევის პროცესში რამდენიმე მედია საშუალების ფეისბუქის პლატფორმიდან შეირჩა კორონავირუსთან დაკავშირებული პოსტები, შეგროვდა კომენტარები, დალაგდა ისინი თემატური კატეგორიების მიხედვით და საბოლოოდ, მოხდა შეგროვებული, კატეგორიზებული მონაცემების აღწერა და ანალიზი.

კვლევისთვის შეირჩა 2020 წლის 22 მარტიდან 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით კორონავირუსთან დაკავშირებული ფეისბუქის პოსტები, სადაც გამოყენებული იყო ტექსტური ინფორმაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნებული ვიდეო ან ფოტო მასალა არ მოხვდა კვლევის მონაცემებში.

კვლევის შეზღუდვა

მონაცემების შერჩევა კვლევის პროცესში ყოველკვირეულად მიმდინარეობდა, თუმცა, ფეისბუქის პლატფორმას არ გააჩნია საძიებო ფუნქცია თარიღების მიხედვით და ამ დაბრკოლების გამო, კვლევისგან დამოუკიდებლად, შეიქმნა სირთულე, რომლის გამოც, შესაძლოა, წინამდებარე ანგარიშში არ მოხვდა შერჩეული მედიების ყველა რელევანტური პოსტი და კომენტარი.

მონაცემების შეგროვების პროცესში შეიქმნა ორი ბაზა ექსელის პროგრამაში. პირველი წარმოადგენს ნედლ ინფორმაციას, კერძოდ - მედია საშუალებების მიხედვით ფეისბუქის პოსტებს 22 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით; ხოლო მეორე ბაზაში პოსტების კომენტარების ველიდან აღებული ტექსტები თემატურ კატეგორიებში ინტეგრირდა. თემატური კატეგორიები განისაზღვრა მკვლევრის მიერ კომენტარების შინაარსიდან გამომდინარე. შინაარსის დასადგენად, მკვლევარი ასევე, იყენებდა იმ პოსტის შინაარსს, რომლის კომენტარის ველშიც იწერებოდა კომენტარი. მაგალითად, თუ ,,პირველი არხი'' ავრცელებდა ინფორმაციას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით, კომენტარების შინაარსის განსაზღვრის შემდეგ, თუკი ის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ეხებოდა, კომენტარი ხვდებოდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კატეგორიაში.

22 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით, სულ შეგროვდა 450-ზე მეტი პოსტის 700 კომენტარი. მონაცემები შეგროვდა საკარანტინო ზომის შემოღებიდან საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე პერიოდში. ვირუსთან დაკავშირებული მონაცემები და ინფორმაცია ძალიან სწრაფად იცვლება. განწყობებიც, შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს.

შერჩევა

კვლევის მონაცემების მრავალფეროვნებისა და ფართო სურათის საჩვენებლად, შეირჩა ერთმანეთისგან განსხვავებული მედია საშუალებების ფეისბუქის გვერდები: TV იმედი, მთავარი არხი, პირველი არხი და ალტ-ინფო, როგორც კონსერვატიული ონლაინ-მედია.

კვლევის შეზღუდული ვადიდან გამომდინარე, მხოლოდ 4 ონლაინ საინფორმაციო გვერდი (facebook page) შევარჩიეთ. საინფორმაციო გვერდების შერჩევის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენდა გვერდის რეპრეზენტატულობა და ცნობადობა, რომელშიც იგულისხმება, რომ ისინი წარმოადგენენ უკვე ცნობილ მედიებს, რომლებსაც ფეისბუქზე ჰყავთ მომხმარებლების (მომწონებლების) გარკვეული რაოდენობა. შესაბამისად, ამ კატეგორიამ ძირითადად მოიცვა ტელევიზიათა ფეისბუქის გვერდები, ხოლო მრავალფეროვნებისთვის, კვლევას ინტერნეტში არსებული კონსერვატიული მედია პლატფორმის ალტ-ინფოს ფეისბუქის გვერდი დაემატა.

- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- ტელეკომპანია იმედი;
- მთავარი არხი;
- ალტ-ინფო.

ფეისბუქ მედია გვერდები	კრიტერიუმები		
	მიმდევრები / Followers	მომწონებლები („ლაიქების" რაოდენობა)	სლოგანი
1.პირველი არხი	411,126	335,638	*ის, რაც გვაერთიანებს*
2.TV Imedi	729,737	661,076	*სწრაფი, სანდო, მრავალფეროვანი*
3.Alt-Info ალტ-ინფო	39,028	31,871	*კონსერვატიული მედია პლატფორმა (conservative media platform)*
4.მთავარი არხი • Mtavari Arkhi	630,544	423,064	*ჩვენთან ერთად მოიპოვეთ თავისუფლება! მთავარი ხართ თქვენ!*

მონაცემები 29.06.2020

მონაცემების ანალიზი

კვლევის პროცესში ჯამში შეგროვდა 4 ფეისბუქის გვერდის 450-ზე მეტი პოსტის 700 კომენტარი. მონაცემები შეგროვდა საკარანტინო ზომისა და საგანგებო მდგომარეობის შემოღებიდან საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე პერიოდში - 22 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით.

შეგროვებული მონაცემების მიხედვით, ჩამოყალიბდა შემდეგი თემატური კატეგორიები: რელიგია, მარნეული, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ჩინეთი, ევროკავშირი, მედია, ტურიზმი, 5G ქსელის ტექნოლოგია. ჩამოთვლილი კატეგორიები განხილულია ახალი კორონავირუსის პანდემიის კონტექსტში და ის საერთოა ოთხივე საკვლევი მედიის ფეისბუქის პლატფორმის კომენტარებისთვის.

წინამდებარე ანგარიშში არ განიხილება კომენტარის ავტორების ან გვერდის მომხმარებლების პიროვნების იდენტიფიკაციის, ბოტების ან ტროლების შესახებ ინფორმაცია. საკვლევი მონაცემები (კომენტარები) აღქმულია, როგორც ფართო დისკურსის ფრაგმენტები.

ალტ-ინფო

ალტ-ინფო კვლევაში მონაწილეობს, როგორც კონსერვატიული მედია პლატფორმა, რომელმაც ბოლო წელს განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა, გააქტიურა გადაცემები და პირდაპირი (ლაივ) ჩართვები. გვერდი აშუქებს საერთაშორისო პოლიტიკის კონსერვატიული ხაზს და ადგილობრივი აუდიტორიისთვის ამზადებს ახსნით (ე.წ. explanatory) ვიდეო-გადაცემებს.

ანგარიშის წერის პროცესში გვერდს ჰყავდა 31,871 მომწონებელი (like) და 39,028 მიმდევარი (follower). გვერდის აღწერაში მითითებულია, რომ ის არის საინფორმაციო მედია პლატფორმა. გვერდს გააჩნია ვებგვერდი https://alt-info.com/, რომელსაც აქვს ოთხი მთავარი კატეგორია: საქართველო, მსოფლიო, ვიდეოები და კონტაქტი. ალტ-ინფოს აქვს ასევე ფეისბუქის ჯგუფიც, სადაც გაწევრიანებულია 2,400-მდე მომხმარებელი და დღეში, საშუალოდ 6 პოსტამდე იწერება.

ალტ-ინფოს მიერ გაზიარებული ახალი ამბების (ნიუსების) კომენტარები შემდეგ ძირითად თემატურ კატეგორიებად დაიყო: რელიგია, მარნეული, მედია, ევროკავშირი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ჩინეთი. მათგან ყველაზე აქტუალურია და ფეისბუქის მომხმარებლის გამოხმაურებას იმსახურებს რელიგიასთან დაკავშირებით გაზიარებული ინფორმაცია, შემდეგ კი, ახალი ამბები, რომლებიც ეხება ევროკავშირსა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას.

რელიგია

რელიგიის კატეგორიაში მოხვედრილი კომენტარები აღდგომის დღესასწაულზე მოსახლეობის დასწრებას და ეკლესიებში წირვა-ლოცვის დაშვებასა თუ დროებით შეზღუდვას უკავშირდება. პანდემიის კონტექსტში, რელიგიასთან დაკავშირებული თემების გაშუქება კონსერვატიული პოზიციის მქონე მედიის მომხმარებლების მიერ აღიქმება, როგორც მათი, მართლმადიდებელი ქართველების წინაშე არსებული განსაცდელი, გამოცდა, რომლის გადალახვაც მნიშვნელოვანი ისტორიული ამოცანაა. გვერდის მომხმარებლების კომენტარებში ჩანს, რომ მტრებად ესახებათ ის ადამიანები თუ ორგანიზაციები, რომლებიც პანდემიის პირობებში ეკლესიის დროებითი დახურვის და შეზღუდვების მომხრე არიან. ასეთი დაყოფა ლიბერალური და კონსერვატიული იდეოლოგიების დაპირისპირების შინაარსში თავსდება, სადაც ჟურნალისტები, ლიბერალური მედია, ადგილობრივი არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები მტრებად იწოდებიან. ამ აღქმას ამყარებს ის, რომ მრევლის ნაწილის რწმენა-წარმოდგენით პანდემია და ვირუსი ხელოვნური ან არარსებული მოვლენაა, რომელიც მასონების ან სატანის ჩარევით ხდება ქრისტიანი მართლმადიდებლების, ქართველების გამოსაცდელად. ამ აღქმას თან ერთვის ლოკალური პარტიული, პოლიტიკური კონტექსტი და წინასაარჩევნო გარემო, სადაც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ანტირელიგიურებად და ლიბერალური იდეოლოგიის მედროშეებად არიან წარმოდგენილნი.

,,ღმერთს ყველა აღმსარებლობის ადამიანისგან ესმის სინანული, მაგრამ მადლი მარტო მართლმადიდებლობაშია, კათოლიკური და პროტესტანტული ქვეყნების კონსერვატორები უნდა მივიდნენ ამ შეგნებამდე ლიბერალიზმთან ბრძოლისას, სხვაგვარად ერებს ვერ გადაარჩენენ დაღუპვისაგან." #1

,,კორონავირუსი, რომელსაც ტრამპმა შეარქვა ჩინური ვირუსი, აგრეთვე ღორის და ფრინველის გრიპი, სარსი, მარსი და ათასი ჭირი უბედურება წამოვიდა ათეისტური ჩინეთიდან სადაც ოფიციალურად იყო აკრძალული ქრისტიანული სარწმუნოება, სახელმწიფო ახორციელებდა მასიურ რეპრესიებს ქრისტიანების წინააღმდეგ და გამოსცა განკარგულება ბიბლია მოეყვანათ სოციალისტურ ფასეულობებთან შესაბამისობაში. გამომდინარე აქედან ღვთისმსახურებაზე სახელმწიფო შეზღუდვების დაწესება დაუცველს გახდის მოსახლეობას მოახლოვებული ბოროტებისაგან რასაც იზეიმებენ შევარდნაძის კომუნისტური რეჟიმის მიერ გამოზრდილი ნაციონალ-რევანშისტები." #2[19]

,,გენერალური რეპეტიციაა ჯერ ქრისტიანების ნამდვილი დევნა მერე დაიწყება." #3 ალტ-ინფოს მიერ გაზიარებულ ახალ ამბავს - ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრის, გიგა ბოკერიასა და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებას ეკლესიის დროებით დახურვასთან დაკავშირებით, გვერდის მომხმარებლები ნეგატიური კომენტარებით ხვდებიან, ხშირია არანორმატიული ენა, გინება, ლიბერალური იდეოლოგიის, მასონების, სატანის ხსენება და მათი დადანაშაულება რელიგიის უარყოფაში. ალტ-ინფოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში მოყვანილია გიგა ბოკერიას კომენტარი, რომელიც აღდგომის დღესასწაულზე ეკლესიებში შეკრების შეზღუდვას ემხრობა: ,,თუ მთავრობა შეზღუდვებს დააწესებს საჯარო შეკრებებზე, უნდა შეიზღუდოს ეკლესიებში ღვთისმსახურებაც[20]*."*

- [19] კომენტარების სტილი დაცულია.
- [20] "თუ მთავრობა შეზღუდვებს დააწესებს საჯარო შეკრებებზე, უნდა შეიზღუდოს ეკლესიებში ღვთისმსახურებაც";
  21.03.2020; https://bit.ly/2O6rVhj

,,ბოკერიავ დანაც-ბოზბანდავ! რატომ არაფერს ამბომ ბაირამის დღესასწაულზე რომ გავრცელდა ვირუსი? მაგას არ აფინანსებს სოროსი?" #4

გვერდის მომხმარებლები მრევლის ეკლესიაში მისვლასა და სუპერმარკეტებში არსებულ რიგს, ან ჟურნალისტების საქმიანობის დროს ჯგუფურად დგომას, სადაც არ არის დაცული ფიზიკური (სოციალური) დისტანცია, ადარებენ ერთმანეთს და გამოხატავენ უკმაყოფილებას.

,,,არასამთავროებო თქვენ იმაზე იფიქრეთ სუპერმარკეტებში აფთიაქებში როგორ გააკონტროლოდ სიტვაცია ხალხი რო ერთმანეთზეა ლამის მიმჯდარი (ბოდიში ამ სიტყვისთვის)". #5

,,ამ თემას უკვე გაეცა პასუხი ხამებივით რომ მიბარდბიან ჟურნალისტები ვინმე ადამიანს და კითხვას უსვამენ თან ბლოკადაში აქცევენ მათ არ ეხებათ კანონი თუ ყველასთვის ერთია რა ვიცით თქვენგან რომ არ გავრცელდება იქნებ რომელიმე გადამტანი იყოთ???" #6

,,ყველაფერი რომ დამთავრდება ჟურნალისტების სასამართლო უნდა მოეწყოს არა დარბაზებში არამედ ხალხის გონებაში უნდა გადაფასდეს ხალხის ავის მოსურნე ჟურნალისტები და ჩავრეცხოთ ბოიკოტი გამოვუცხადოთ და არ ვუყუროთ მათ გადაცემებს". #7

,,თქვენი დასჯის დროც მოვა და ვერც თავს იმართლებთ დოლარზე გაყიდულო ტელევიზია ჟურნალისტებო". #8

გვერდის მომხმარებლების კომენტარებში ერთსულოვანი განწყობაა ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. რელიგიის კატეგორიაში ძირითადი მახასიათებელია რელიგიის გამო შევიწროება ან უსამართლობის განცდა.

მრევლის ნაწილმა პანდემია და ეკლესიაში მისვლის დროებით შეზღუდვაზე მიმდინარე დისკუსია მიიღო, როგორც მათი რელიგიის წინაშე არსებული განსაცდელი და რწმენის გამოცდა:

,,აქაც ღია იქნება ეკლესიების კარები და ალბათ კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ მსოფლიოს ჩვენს სამაგალითო მართლმადიდებლობას...." #9

,,მასიური ტესტირება დაიწყება აღდგომის შემდეგ იმისთვის რომ ხალხის ეკლესიაში სიარულს მიაბან ვირუსის გავრცელება". #10

ამ განწყობებს ეხმიანება ალტ-ინფოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია - ბულგარეთის პრემიერ-მინისტრის და ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს განცხადებები: „გადაწვეტილება მძიმეა, მაგრამ მზად ვარ გავუძლო საყვედურებს, მე არ შემიძლია ეკლესიების დახურვის ბრძანება გამოვცე" – ბულგარეთის პრემიერის გადაწყვეტილებით, მართლმადიდებლური ტაძრები ბზობისა და აღდგომის ღვთისმსახურებების დროს ღია იქნება". #11

,,ლუკაშენკო: შობას და აღდგომას მე ყოველთვის ეკლესიაში ვარ. ტაძრისკენ გზას არავის ჩავუკეტავთ, ეს ჩემი მკაცრი მოთხოვნაა". #12

გვერდის მომხმარებლების კომენტარების მიხედვით, ასეთი ინფორმაცია მათში აღტაცებას იწვევს და განცხადებებში აქებენ ავტორებს თამამი გადაწყვეტილების გამო.

გვერდის მომხმარებლების ნაწილი ფიქრობს, რომ პანდემია არ არსებობს და რომ ეკლესიის დროებითი დახურვა საქართველოს ხელისუფლების ხარკია იმ დახმარების სანაცვლოდ, რასაც ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს:

,,აგერ ვინ ბრუნავს თავის ხალხზე აქ ყველა მოსყიდულია ტელევიზიაც და დეზინფორმაციას ავრცელებენ ეს ამერიკას უნდა რომ კონტროლი დამყაროს ხალხზე საქართველოს სხვა გამოსავალი არ აქს უნდა მიყვეს მის მითუთებებს იმიტომ რო ვალი აქვს რაც რიცხეს ფულები მაგის გამო რიცხავდნენ ფულს მოვიდა დრო საქართველომ გადაუხადოს ვალი." #13

პანდემიის, საგანგებო მდგომარეობის, საყოველთაო კარანტინის გამოცხადებისა და აღდგომის დღესასწაულის დამთხვევა, და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები, მრევლის ნაწილისთვის რელიგიასა და ღმერთზე უარის თქმისკენ მოწოდებად იქნა აღქმული და ყოველ ახალი შეზღუდვას გაღიზიანება და აგრესიული კომენტარები მოჰყვებოდა:

,,ურჯულო მთავრობამ, ავტომობილები აკრძალა , ეკლესიაში ვეღარ მივლენო, ეგ ვერ გაგვაჩერებს თქვენ კი ყველაფერზე ,მოგკითხავთ უფალი !" #14

პანდემიის დროს მთავრობის მიერ ზოგადი, და მათ შორის, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებული შეზღუდვების დაწესების საპასუხოდ მრევლის ნაწილის ინტერნეტ კომენტარები რელიგიური თუ მორალური ხასიათის მუქარასა და წყევლაში გადაიზარდა, მათ შორის, ექიმებისა თუ ეპიდემიოლოგების მიმართ:

,,თქვე საცოდავებო ეს დღე დაიმახსოვრეთ და სანატრელი გაგიხდებათ კორანა ამ თქვენი უნამუსო კანონების მიღებისთვის ილოცეთ რო თქვენ შვილებზე არ ფადავიდეს ეს ცოდვა ღმერთმა დაიფაროს ყველა მაგრამ ყველა სიბინძურეზე პასუხს ყველა ვაგებთ ვინც წვლილს შევიტანთ." #15

,,ეს ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ ქრისტიანებს ჩაამწარონ აღდგომის დღესასწაულები. გადახედეთ ისტორიას: ასეთი რამე არც ერთ მთავრობას არ შერჩენია. გამყრელიძე-იმნაძე ბოლო დღეებია სულ გადასხვანაირდნენ, და ყეფაზე გადავიდნენ. ასე დაავალეს და იყეფებენ კიდეც, რადგან 3 მილიარდს შეპირდნენ მთავრობას. ეგენი აითვისებენ, ხოლო გავისტუმრებთ ჩვენ! ყოველსაათობრივი რეპორტაჟებით ინფექციურიდან, დათესეს ფსიქოზი და დააგიპნოზეს ხალხი! მე მგონია, რომ ასეთი ღონისძიებებით დაამშევენ ხალხს და გამოიწვევენ მღელვარებებს ლოზუნგით ,,მშია". ნამდვილად არ მოველოდი, რომ ასე აშკარად დაიჭერდნენ ანტიქრისტიანულ და ანტიხალხურ პოზიციას!" #16

,,,არასამთავრობო სექტორი და მათი ნაცმედია არავის არ წარმოადგენს საქართველოში. ისინი არ არიან არჩევითი და არჩევადი და მათ მხოლოდ ისინი უჭერენ მხარს ვინც უშუალოდ იღებს გრანტებს და აქვს შესაბამისი დაინტერესება." #17

,,ეკლესიის დემონიზება ერთგვარ ტრენდად აქციეს ამ უღმერთოებმა. ბანკის ე.წ. კლასტერი აღარავის ახსოვს, არც უცხოელებისგან (არაქართველებისგან) იმპორტირებული სენი." #18

,,კომუნისტების დროსაც ასე იყო. სკოლებში და ინსტიტუტებში შემოდიოდნენ გაკვეთილებზე და ლექციებზე იდეურ-აღმზრდელობით განყოფილების წარმომადგენლები და აფრთხილებდნენ მოსწავლეებს და სტუდენტებს თუ უპოვნიდნენ ჯვარს ან დაიჭერდნენ მათ ეკლესიაში გარიცხადვდნენ სასწავლებლიდან და მშობლებს დაითხოვდნენ სამსახურიდან. ყველაფერი ჩვენ ხელშიაო თანაც დააყოლებდნენ ხოლმე და." #19

აღდგომის დღესასწაულს მრევლი გარკვეული შეზღუდვებით, ორმეტრიანი ფიზიკური დისტანციითა და გარე სივრცეში _ ეკლესიის ეზოებში დაესწრო. აღდგომიდან საინკუბაციო პერიოდის გასვლის შემდეგ კი, ვირუსით ინფიცირების განსაკუთრებული მაჩვენებელი არ გამოვლენილა _ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა, თენგიზ ცერცვაძემ განაცხადა, რომ: ,,ინფიცირებულთა არავითარი მატება რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით არ აღინიშნება[21] ". ეს კი ალტ-ინფოს გვერდის მომხმარებლებში რწმენასა და რელიგიაში ჩაბარებულ გამოცდად დაფიქსირდა:

,,ეს დიდი გამოცდა იყო კაცობრიობის ისტორიაში რომელიც ქართველმა მართლმადიდებელმა მრევლმა პირნათლად შეასრულეს, და დაგვანახეს ის ხალხი ვინც "მამლის ყივილამდე უარყოფდა" უფალს, ქრისტიანობამ მოგვიყვანა ქართველებო აქამდე მივხვდეთ ბოლო-ბოლო რა გვჭირს". #20

პანდემიის დასაწყისში, ქართველი ექიმების საქმიანობა ერთსულოვნად პოზიტიურად ფასდებოდა, თუმცა რელიგიური დღესასწაულის დროს გაკეთებული განცხადებების, შეზღუდვების დაწესებისა თუ მათი დაცვისკენ მოწოდებების გამო, ინფექციონისტების მიმართ დამოკიდებულება ნეგატიურისკენ შეიცვალა.

,,თუ ასეა კარგია. და აბა, რას გამოამწყვდიე ნახევარი ქვეყანა, ცოდვაში რომ შეიყვანე, პირველ რიგში შენ მოგეკითხება აღიარე ახლა შენი ცოდვები ერის წინაშე ექიმო." #21

,,შეასრულეს დავალებები და გაიყიდნენ ახალი თაობის იუდა-ბოლშევიკები 3 მილიარდში." #22

მედია

მედიის კატეგორიაში, ალტ-ინფოს მომხმარებლები გამოხატავენ იმედგაცრუებას მედიისა და ტელევიზიების მიმართ და ამას ლიბერალურ იდეოლოგიას უკავშირებენ. მედიის მიმართ არსებული იმედგაცრუების ნიმუშად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის განცხადება გამოდგება. 21 მარტს CNN-ზე,[22] NBC News-ის ჟურნალისტ პიტერ ალექსანდერის შეკითხვაზე, თუ რას ეტყოდა კორონავირუსის გავრცელების გამო შეშინებულ ამერიკელ ხალხს, ტრამპმა უპასუხა, რომ ის ცუდი რეპორტიორია. ეს ინფორმაცია 22 მარტს ქართულმა კონსერვატიულმა ონლაინ

[21] "არავითარი მატება რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებული არ აღინიშნება" - თენგიზ ცერცვაძე; 04/05/2020; https://bit.ly/3ea5eU3

[22] Here's Donald Trump's angry response when asked what he would tell scared Americans; March 21, 2020; https://cnn.it/38BfZNP j

გამოცემამაც გამოაქვეყნა, რომლის კომენტარის ველში, ფეისბუქზე, ქართველი მომხმარებლები წერენ, რომ ტრამპი სიმართლეს ამბობს და რომ ეს სიმართლე ქართულ მედიასაც შეესაბამება:

,,აი კაცი, რომელსაც სულ ფეხებზე ჰკიდია, რას იტყვიან მასზე ჟურნალისტები, არ კეკლუცობს მათთან და სიმართლეს პირში ეუბნება! სიმართლე კი მწარეა და ის მხოლოდ ჟურნალისტების ბაგეებიდან არ გადმოედინება!" #23

,,ეე ტრამპო!!! შენ მარტო CNN გივრცელებს სიცრუეს, როცა პატარა საქასრთველოში მთელი სალიბერასტესი მას-მედია ამაზე მუშაობს !!" #24

გვერდის მომხმარებლები საკუთარ პოლიტიკურ იდეოლოგიასა თუ პოზიციებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადების შინაარსთან აიგივებენ და მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი, ქართული ლიბერალური მედია გაცილებით უფრო მეტ სიცრუეს ავრცელებს, ვიდრე CNN და ლიბერალურ მედიას საერთო მტრად/მოწინააღმდეგედ სახავენ.

გვერდის მომხმარებლები, სავარაუდოდ, იზიარებენ ალტ-ინფოს კონსერვატიულ შეხედულებებს და ჟურნალისტებს არ სწყალობენ. ეს განწყობა გამოჩნდა განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე რელიგიის ან ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას შეეხო.

,,ეს დაპალი ჟურნალისტების 70% ეკლესიას არიან გადაკიდებული რაგჯირთ თქვენი დედაც ღმერთის არგეშინიათ თუ არა და სხვას რატო აშორებთ თქვენი დედა !!!!!!!! საქართველოში ურნალისტების დონე 0% ია." #25

„Es satanisti jyrnalistebi kvela dasackvetia Ra siamovnebit utyapunebdi im tvlipina tavshi mag sorosis virxis nashiers." #26

პანდემიის კონტექსტში, ალტ-ინფოს გვერდის მომხმარებლების კომენტარების მიხედვით, დამოკიდებულება ქართული მედიის მიმართ ნეგატიურია. მედია ასოცირდება ლიბერალურ იდეოლოგიასთან ან უცხოეთიდან დაფინანსებულ ჯგუფთან, რომელსაც კონკრეტული დავალება, ამ შემთხვევაში _ ეკლესიის როლის დაკნინება აქვს დავალებული. პანდემიისა და ინფოდემიის პირობებში, მედიისა და ინტერნეტის გაზრდილი მოხმარება, შეიძლება, დამატებითი ფაქტორი იყოს ინტერნეტ მომხმარებლებისთვის, რათა მედიის მიმართ ნეგატიურად განეწყონ, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაცია პანდემიის შესახებ შიშისა და ნეგატიური ინფორმაციის მატარებელია.

ევროკავშირი

ალტ-ინფოს გვერდის მომხმარებლების კომენტარებში ევროკავშირის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება ნათლად ჩანს. იტალიასა და ესპანეთში კორონავირუსის ძლიერი გავრცელება და ევროკავშირის პასუხი მასზე ქართული კონსერვატიული განწყობებისთვის და ევროსკეპტიციზმისთვის ძლიერი საბაბი აღმოჩნდა. გასაჭირის დროს ერთი ოჯახის წევრების გულგრილობა ერთმანეთის მიმართ _ იყო ის განწყობა, რასაც

რასაც გვერდის მომხმარებლები კომენტარებში გამოხატავდნენ. ამ განწყობას უკავშირებდნენ ისინი საქართველოს მისწრაფებას, გაწევრიანდეს ევროკავშირში და გამოხატავდნენ იმედგაცრუებას ამ მისწრაფების მიმართ.

,,კრიზისის დროს კარგად გამოჩნდა ლიბერალური იდეოლოგიის გამხსნელი ზემოქმედება მოსახლეობაზე ბოლო 60 წლის განმავლობაში აი სანაქებო ევროსაბჭო! ნეტავი რაზე ბჭობნენ ამ წლების განმავლობაში და ფინანსდებოდნენ ამხელა ხელფასებით ეს უსაქმურთა ბოზბანდა? გული გამისკდა საცოდაობით! ესაა ევროპა ამისკენ მივისწრაფოდით, თავისი მოხუცები არ უნდათ არც ოჯახებს. ჩემთან სამი თაობა ვცხოვრობდით ერთ ჭერქვეშ და ის დრო მენატრება, როდესაც ჩემი ბებია და ბაბუა ჩვენთან იყვნენ." #27

,,სწორედ ასე ზდიან მომავალ თაობას ევროპაშიი, აცლიან სიყვარულის განცდას, პატრიოტიზმს, ეროვნულობას, ზრდილობიანი რობიტების თავშეყრა ევროპაში, დარწმუნებული ვარ ბევრი ადგილობრივი ხვდება თუ რა გაუკეთა სახელმწიფომ... და მაგათ იმედზე უნდა ვიყოთ ჩვეენ?" #28

BBC-მ გამოაქვეყნა ნიესი[23], რომ ესპანეთში მიტოვებული და გარდაცვლილი მოხუცები ნახეს. რასაც მოჰყვა განზოგადება, თუ როგორ არ ზრუნავს ევროპა და ევროკავშირი მოხუცებზე. ამის საპირისპიროდ, ალტ-ინფოზე გამოქვეყნდა ვიქტორ ორბანის განცხადება, სადაც ის ჩინეთიდან და თურქეთიდან მიღებულ დახმარებაზე საუბრობს - *„ჩვენ დახმარება მივიღეთ ჩინეთისგან და მე ასევე, დახმარების თხოვნით მივმართე თურქულენოვანი სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს, რომლის წევრიც უნგრეთიც არის და ეს დახმარება მათგანაც მივიღეთ", – განაცხადა ორბანმა. მან აქვე აღნიშნა, რომ უნგრეთი ევროკავშირის წევრად რჩება და დასავლურ ალიანსს ეკუთვნის.[24]"*

ევროკავშირის წევრებს შორის არსებული ურთიერთობების ადგილობრივი ინტერპრეტაცია ალტ-ინფოს გვერდის მომხმარებლებში ევროსკეპტიკურ განწყობებს ამძაფრებს, მათ შორის, ზოგადად ევროპული ცივილიზაციის მიმართაც; ევროსკეპტიციზმს უკავშირებენ ისინი 2008 წლის აგვისტოს ომსაც.

,,ისე, ევროპაში კულტურა აზიიდან შევიდა. მანამდე ცხოვრობდნენ ცხოველებივით.... ა ევროპული კულტურა. მაგენს კულტურა და კიდე აქ ჩვენთან ვითომ ,,ელიწას" დანა-ჩანგლის სწორად დაჭერა გონიათ კულტურა. ლობიო, მჭადი და პრასი მირჩევნია მაგენის ექსპრესოს და ა.შ. ველურები ვერ წარმომიდგენია საქართველოში მსგავსი რამ მოხდეს! " #29

,,ჩვენ ვაი მთავრობებს ამათი იმედი ქონდათ??? აფერისტი მყვლეფავები. მილიარდობით თანხა მიედინება ერთეულების ჯიბეში. დაშლი პირასაა და დაიშლება კიდეც აფერისტების მიერ გამოგონილი ევროკავშირი თქვენი იმედი რო ვინმეს ექნება რა...ისე შეშფოთება მაგარი იციან სიტყვებით და ახლა ხო საერთოდ აღარც შეშფოთდნენ...ევროპა მგონი გაწირულია და ვიღაცას ძაან აწყობს..." #30

[23] Coronavirus: Spanish army finds care home residents 'dead and abandoned'; 24/03/2020; https://bbc.in/2Z7nSaR

[24] უნგრეთის პრემიერი: კორონავირუსის კრიზისმა გამოამჟღავნა ევროკავშირის სისუსტეები და საჭიროების ჟამს დახმარების უუნარობა; 30/03/2020; https://bit.ly/2Dcg7aW

,,იქნებ ეხლა მაინც შევწყვიტოთ ამერიკისა და ევროპის იმედად ყოფნა და ჩვენ თვითონ მივხედოთ ჩვენს თავს.“ #31

,,სტანდარტული ყალბი: შეშფოთება, აღშფოთება და აღშფრთოვანებულობა. ყალბი ბოდიში და ველი შედეგს! იტალია ალბათ მეორე ქვეყანა იქნება, რომელიც ევროკავშირიდან გავა - ბრიტანეთივით. რას ერჩით, როგორც იციან და შეუძლიათ ისე ეხმარებიან. შფოთავენ. ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველთვის მზად არიან, თუ გაგვიჭირდება აუცილებლად შეშფოთდებიან და არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ 2008 წელს აღშფოთებულებიც კი იყვნენ!” #32

ამგვარად, ევროკავშირიც იმედგაცრუებითა და შიშით აღიქმება, სადაც განმსაზღვრელია პანდემიის კონტექსტში ევროკავშირის პასუხი იტალიასა და ესპანეთში ვირუსის ძლიერ გავრცელებაზე, რაც აძლიერებს შიშს, რომ თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, განსაცდელის ჟამს საქართველოსაც სწორედ ასე მოექცევიან.

მარნეული

მას შემდეგ, რაც მარნეულში მცხოვრებ მოქალაქეს ვირუსი დაუდასტურდა, ალტ-იფნოზე გამოქვეყნებული ახალი ამბის პოსტის ქვეშ მარნეულის მოსახლეობის ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული კომენტარები გაჩნდა. 22 აპრილს მარნეულში საპროტესტო აქცია მოეწყო, რადგან ადგილობრივები კორონავირუსთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების გამო სოფლის მეურნეობის პროდუქტს ვერ ყიდიდნენ[25]. ალტ-ინფოს მიერ გაზიარებულ იმავე ახალი ამბის კომენტარის ველში გვერდის მომხმარებლები წერდნენ მარნეულელთა ეთნიკურ იდენტობაზე, აზერბაიჯანულ წარმომავლობაზე, რასაც აპირისპირებდნენ ქართულ იდენტობასთან. კომენტარების ავტორების აზრით, იგივე რომ ეთნიკურად ქართველებს გაეკეთებინათ, აუცილებლად კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებოდნენ, თუმცა, მარნეულელების შემთხვევაში ასე არ მოხდა. გვერდის მომხმარებლები ადგილობრივთა დასჯას, დაპატიმრებას, აზერბაიჯანში გადასახლებას, იზოლაციას ან მათ მიმართ პოლიციისა და სამხედრო ძალის გამოყენებას ითხოვდნენ და ემხრობოდნენ.

,,ციხეში მაგათი დედაც ან აზებაიჯანში!!! საქართველოში ყველას უფლებებია ქართველზე უფრო მეტად დაცული !! საგანგებო მდგომარეობის დროს უბრალო წინააღმდეგობის გაწევაც კი სისხლის სამართლის დანაშაულია. შეიყვანეთ შეიარაღებული სამხედროები და გაამკაცრეთ საგანგებო მდგომარეობა!” #33

,,...ასეთ საქციელს ხომ ქართველს არ აპატიებდნენ და სხვას რატო შერჩება ხოლმე ყველაფერი?!” #34

,,გადაასხით ნაკურთხი წყალი ამ ურჯულოებს და თავისით დაიფანტებიან. ეკლესიაზე, რომ ატეხეს ერთი ამბავი, ამაზე რატომ არაფერს ამბობენ?” #35

---

[25] “ვერ ვყიდით პროდუქტს” – მარნეულში მოსახლეობა აქციას მართავს; 22/04/2020; https://bit.ly/3f9Qx4G

,,მოსდონ. დუბინკები. როგორც მიშა აკეთებდა და თუ არ მოსწონთ აქაური კანონები გადავიდნენ აზერბაიჯანში. თათრებმა შემოიტანეს კორონავირუსი ირანიდან და თბილისამდე უნდათ ჩამოიტანონ." #36

,,ამათ კი მოუხდებათ გვერდების დალურჯევა.იბდა შეყარო ყველა და გაათრიო საქართველოდან თავის აზერბაიჯანში სად არის პოლიცია ვითომ მაგრები რო არიან ცალცალკე რო წერენ ჯარიმებს. ახლა რატო ვერ დააჯარიმეს 3000 ლარებით ესენი არ არღვევენ კანონს სად ხართ ლიბერალებო თუ ამათთვის შეიძლება ეხლა ზუსტად ამ მომენტში უნდა მთელი კანონის დაცვით ყველანაირი ზომების გამოყენება და ეს ტვინ გამორეცხილი დაჯგუფება უნდა დაისაჯოს...ვინ ორგანიზებას უწევს ამ ყველაფერს...მართლა კმარა ამდენი სითავხედე და სინაგლე." #37

,,ლყაში მოაქციეტ და ჩაკეტეტ შიგნიტ ტავიანტი სურვილია რომ არ უნდატ მკურნალობა და როგორც ძაღლებს შეუგდეტ საკვები და გარეტ არ გამოაყოფინოტ ცხვირი მასეტ ხალხს ესე უნდა მოექცეთ." #38

,,შემოავლეთ მავთულხლართები და გაწყვეტილან თუნდაც, გავგიჟდით ხალხი ვინც ვიცავთ აკრძალვებს. რა სიბნელეა., შეიყვანონ სპეცრაზმი და აიყვანონ, სანამ გადასდებია მთელ სოფელს! ხოდა დასაჯეთ ეს დდმ! ბრბო, ნეანდერტალები.... " #39

,,ამათ ბოლობოლო არ გაიდეს მხარზე კიტრი? ასეთებისთვის მიშა საჭიროა. რას იჯენთ თავზე. ყველა ბუნტავშიკი ციხეში. ხელისუფლების უმოქმედობას მოძალადები წახალისებათ აღიქვამენ. სხვაგანაც გაბედავენ." #40

,,...მოკლედ ამ დებილი და უაზრო ხალხის გულისთვის როდემდე უნდა ვიყოთ გამოკეტილი, დააჯარიმონ ყველა ვინც მასე იქცევა, რა დავაშავეთ ჩვენ რომ ასე გამოკეტილები ვართ მაგნაირი იდიოტების გადამკიდე..." #41

მეორე მახასიათებელი მარნეულელთა რელიგიურ განსხვავებაზე მიანიშნებდა:

,,არაფერ შუაშია აქ ხალხო ვაჭრობა, მაგათ სულ რომ მთელი მოსავალი გაუფუჭდეთ არ ინერვიულებენ, 2-3 გრ გერაინს გაყიდიან და ეგაა მთელი მოსავალი, მაგათ 25ი თუ 26 ი რამაზანი მოზდით, ხოდა აბა ჩავიდნენ ეხლა ზოგ ზოგიერთები და უთხრან მეჩეთში არ შეხვიდეთო, მივიდნენ ეს ვაი ჟურნალისტები და შევარდნენ მიკროფონებით მეჩეთებში, ხომ არიან ძაან ობიექტურები და უშიშრები, არც ის გაგიკვირდეთ რომ ამათ აჭარელი მუსლიმებიც აჰყვნენ!" #42

მესამე მახასიათებლად კი ენობრივი სხვაობა იყო აღნიშნული:

,,ბიჭო აქეთ რომ დიდ გულზე არიან კიდე...წლებია აქ ყრიან ქართული არ იციან არც ცდილობენ ისწავლონ, ვაბშე უნდა გაყარონ მანდედან..." #43

სამივე მახასიათებელი ნაციონალური იდენტობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი კომპონენტია.

ჩინეთი

ალტ-ინფოს მიერ გავრცელებულ ნიუსებში, ჩინეთის კატეგორია კორონავირუსის წარმომავლობასთან დაკავშირებით ჩნდება. კომენტარების ავტორების მიერ გამოვლენილ განწყობებში დომინირებდა სურვილი, დაწყებულიყო გამოძიება ჩინეთის მიმართ და დაესაჯათ ჩინეთი პროდუქციის მიმართ ბოიკოტის გამოცხადებით.

,,ჩინეთი უნდა დაისაჯოს, მსოფლიო იზოლაცია ჩინეთს.“ #44

,,უარი ჩინურ პროდუქციას----ამის გაკეთება მაინც ხომ შეგვიძლია.” #45

,,მკაცრად უნდა დაისაჯოს, მსოფლიომ ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს.” #46

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

კომენტარებში ჩანს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ უნდობლობა და ნეგატიური განწყობა. ეს განწყობა ინტერნეტმომხმარებლებში (ე.წ. იუზერებში) ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ორგანიზაციის დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ გამოთქმული განცხადების დროს გამომჟღავნდა. კომენტარების ავტორები ორგანიზაციის პოლიტიკას ლიბერალურ იდეოლოგიას უკავშირებენ, ისევე, როგორც ორგანიზაციის პოზიციებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს ლგბტ საკითხებსა და გენდერის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

,,უნდა გაუქმდეს მთლად მაგ აფირისტი ორგანიზაცია, და ის ულვაშა შაგვრემანი ჩამოაცვან სარზე.” #47

,,იქაც ლიბერალების ბუდე ყოფილა ევროპამ საჯდომი გადააფარა.” #48

კომენტარებში ასევე ვხვდებით ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორის მიმართ რასისტულ განცხადებებს გარეგნობასა და კანის ფერთან დაკავშირებით.

„jandacvis msoplio organizaciis prezidenti eg zangi...“ #49

,,სამყარომ არ უნდა დაუშვას არცერთი უშვილო, უოჯახო ადამიანის ხელისუფლებაში მოსვლა, არცერთ წამყვან თანამდებობაზე არ უნდა დანიშნო უშვილო არც ქალი და არც კაცი,ასეთებს ფეხებზე ჰკიდიათ სხვისი ოჯახიც, შვილიც, საკუთარი თავი ყოველთვის ყავთ უსაფრთხოდ, იმის იქით არც არავინ ყავს არც აინტერესებთ და ყველა სისულელეს რაც ავადმყოფ თავში მოუვათ ცდიან ხალხზე.... “ #50

“რას მელაპარაკებით..... ვაი ამათ პატრონს. ჯანმო-მ ის თქვას რა კრიტერიუმებით გამოაცხადა პანდემია. ვინ მისცა ამის უფლება. როგორც ცნობილია პანდემია ცხადდება დაავადების მოსაცლეობის 5%-ზე გავრცელების შემთხვევაში. დანარჩენი არითმეტიკაა 7,8 მილიარდის 5 % 390 მილიონია. ეს რაოდენობა იყო დაავადებული? როგორც თვითონ

ამბობენ დაავადების პიკში 3 მილიონს ოდნავ აღემატება. ან რატომ მიანონსებენ ოქტომბერ-იანვარს ისევ აფეთქება იქნებაო? იმ პირობებშიც კი როდესაც იცი და მზად ხარ აღნიშნულ რაოდენობის ნახევარიც არ უნდა დაავადდეს ლოგიკით. ასე არ არის? თუ ბილ გეითსის ალგორითმები სხვანაირად ითვლის? ეს ერთი და მეორე, სხვა არ მაინტერესებს და საქართველოს მთავრობა ყურმოჭრილი მონებივით რომ ასრულებენ ნებისმიერ სულელურ დავალებასაც კი რომელიც უცხოეთიდან მოდის, საკუთარი თავი არ ადგას მხრებზე თუ .....” #51

ალტ-ინფოს მომხმარებლების კომენტარების მიხედვით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ლიბერალური იდეოლოგიისაა, ატარებს გენდერულ პოლიტიკას და საქართველოს კარნახობს შიდა პოლიტიკური საქმიანობის წესებს.

ტელეკომპანია იმედი

ტელეკომპანია იმედს ფეისბუქის გვერდზე 661,076 მომწონებელი და 729,737 მიმდევარი ჰყავს. არხს აქვს ვებგვერდი https://imedi.ge/. იმედის ფეისბუქის გვერდიდან შეგროვებული მონაცემები ალტ-ინფოს რელიგიის და მარნეულის შემთხვევების კატეგორიებს ემთხვევა. გვერდი მრავალფეროვანია და მომხმარებელთა კომენტარებიც, ხშირად, არავერბალური ხასიათისაა (სტიკერები, სიცილაკები და სხვა).

რელიგია

ტელეკომპანია იმედის ფეისბუქის გვერდის მომხმარებლების კომენტარები ძირითადად კორონავირუსისა და პანდემიის გარშემო მიმდინარე პროცესებს ეხებოდა. რელიგიისა და რწმენის, პოლიტიკური იდეოლოგიისა და საერთაშორისო პოლიტიკის ზოგად კონტექსტში გვერდის მომხმარებლები შექმნილ ვითარებას რელიგიისა და რწმენის გამოცდად მიიჩნევდნენ, რომელსაც ,,გლობალური მთავრობის” შექმნის მიზნები აქვს. ამ რწმენა-წარმოდგენას მრევლისა თუ მომხმარებლების ნაწილში ამყარებს ის ფაქტი, რომ ამ დრომდე საქართველომ მცირე დანაკარგებით გადაიტანა ვირუსი. გვერდის მომხმარებლები საქართველოს ადარებენ ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის იტალია, ესპანეთი ან ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც ვირუსის მძიმე შედეგებს ებრძვიან. ამას უკავშირდება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ლიბერალური იდეოლოგიის გამტარებლად აღქმა და წარსულში ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწვეტილებები გენდერულ პოლიტიკასა თუ ჰომოსექსუალობის დაავადებათა სიიდან ამოღების შესახებ. თავის მხრივ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის კორონავირუსს, უკავშირებენ ვაქცინებისა და ,,ჩიპების” გავრცელებას. ამ წარმოდგენის თანახმად, კორონავირუსი და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები თუ ცვლილებები, ხელს შეუწყობს ვაქცინის მომხრეების რაოდენობის ზრდას. პანდემიას კი, ინტერნეტმომხმარებლები გლობალურად მართულ პროცესად მიიჩნევენ, რათა ვაქცინები, ჩიპები და 5G ქსელური ტექნოლოგია გავრცელდეს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ ნარატივს ერთი საფუძველი აქვს, კომენტარების ველში მომხმარებელთა მსჯელობები მათი ცალ-ცალკე გამოყოფისა და ახსნის საშუალებას იძლევა.

რელიგიის კატეგორიაში მთავარი მიმართულება იყო მართლმადიდებელი ქრისტიანების გამოცდა _ დროებითი შეზღუდვები, რომლებიც ეკლესიას და მრევლისაც შეეხო, ქრისტიანების დევნად იქნა აღქმული და დაუკავშირდა ლიბერალურ იდეოლოგიასა და ათეისტებს. მორწმუნეთა აზრით, სწორედ რელიგიამ გადაარჩინა საქართველო ისტორიულად და ახლაც ასეთი დრო დგას.

,,რა კარგად გამოჩნდნენ ისინი, ვინც ეკლესიურობას ასე თუ ისე იბრალებდნენ...ნუ, ათეისტების და ლიბერალებადწოდებულების ისედაც არ გამკვირვებია...და მაინც, სწორედ, ეს ეკლესიაა ოდიდგან და მათი წევრები, რომ ლოცულობენ თქვენთვისაც...დევნაა აბა რააა...სწორედ, მართლმადიდებლურმა თავდადებამ გადაარჩინა ეს პატარა ქვეყანა! თორემ, ისე გაქრებოდა რუკიდანაც, როგორც არაერთი იმპერიაც კი გამქრალა! ღმერთმა გვიშველოს ყველას! " #52

ინტერნეტმომხმარებელთა ფრაგმენტულ მსჯელობაში გამოტოვებულია ის ნაწილი, რომ შეზღუდვები დროებითია; მრევლის ნაწილი მიიჩნევდა, რომ აღდგომის დღესასწაული ყველაზე მთავარი ქრისტიანული დღესასწაულია და ამ დღეს მათი ეკლესიაში არმისვლა, მათივე რწმენისთვის მძიმე განსაცდელია.

მარნეული

მარნეულში ვირუსის პირველი შემთხვევის დადასტურების შემდეგ, იმედის გვერდის კომენტარების ნაწილში მარნეულის მაცხოვრებლების მიმართ ნეგატიური განწყობები ჩანს. მომხმარებელთა მიერ გამოყენებული არანორმატიული ენა და აგრესიული მოწოდებები ქართული ენის არცოდნასა და კარანტინის წესების დარღევევას ეხებოდა:

,,წერა კითხვა არ იციან მაგ აზერების უმრავლესობამ. რომელ მოქალაქეობრივ თვითშეგნებაზეა ლაპარაკი. ჩვეულებრივი ბნელები არიან (ყველას არ ვგულისხმობ რათქმაუნდა)." #53

,,amden unamuso adamians milioni gaxariac ver uhvelis,amatvis cixe unda iyos da ara mkurnaloba." #54

,,და თუ გადარჩა დაუწესეთ ისეთი ჯარიმა სული რომ ამოაძროს დარჩენილი ცხოვრება, უვიცი რეგვენი...." #55

მარნეულში დაფიქსირებულ შემთხვევას გვერდის მომხმარებლების მხრიდან მოჰყვა კომენტარები, რომ ქალაქი უნდა ჩაკეტონ და მარნეულელებს ალყა შემოარტყან ან დააპატიმრონ ისინი კარანტინის წესების დარღვევის გამო, მიუხედავად იმისა, რომ გვერდის მომხმარებლების ნაწილს მაინც სჯეროდა, რომ ვირუსი და პანდემია არ არსებობს:

,,დამანახეთ ცალი თვალით მაინც ერთი ინფიცირებული, საკმარისია გეყოფათ ეს ფარსი დაასრულეთ." #56

,,ეს დამრგვალევული რიცხვები ძაან მაეჭვებს :დ რატომ 30 და არა 29 :ddd წინაზე კიდევ მასე 10 ან 5 :ddd" #57

,,იმას რატო არ ლაპარაკობთ საქართველოში ამ ზამთარში ყოველი მეორე დავირუსებული რომ იყო ხალხი.სკოლები და ბაღები რომ დაითხოვეს.სავსე იყო საავადმყოფოები .გადასხმებს კალიდორში უკეთებდნენ ხალხს. ნეტა ის რა იყო კორონა თუარა?იმაზე რას იტყვით ანტი სხეულები რო აღმოაჩნდა ბევრს? წადით რა დაახვიეთ ნუ აშანტაჟებთ ხალხს. პირველი პადჟიგატელები ჟურნალისტები ხართ. დააცალეთ ხალხს ცხოვრება კორონა არ კლავს. ხალხმა ნოემბერში გადაიტანა და მაისში რა ფეხები უნდა მოჭამოს ვინმეს." #58

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ იმედის გვერდის მომხმარებლების კომენტარებში გვხვდება მკვეთრად გამოხატული უნდობლობა პანდემიის დროულად არგამოცხადების გამო.

,,მხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანოზაციაა დამნაშავე რომ დროულად არ გამოცხადდა პანდემია." #59

,,უმკაცრესი სასჯელი ეკუთვნის პირველ რიგში ჩინეთს, რომ არა მაგათი ბინძური კვება დღეს მსოფლიო ამ განსაცდელში არ იქნებოდა. გადაშენდნენ ერთ დღეს ეგენი." #60

მთავარი არხი

მთავარი არხის ფეისბუქის გვერდს 423,064 მომწონებელი და 630,544 მიმდევარი ჰყავს. არხს აქვს საკუთარი ვებგვერდი http://Mtavari.TV/. წინამდებარე ანგარიშში მთავარი არხი შერჩეული მედიებიდან ყველაზე მცირე მონაცემებით არის წარმოდგენილი, რადგან მისი ახალი ამბების უმეტესობას ვიდეოები (პირდაპირი ჩართვის ვიდეოები) შეადგენდა, რაც ქმნიდა გაზიარებულ ინფორმაციასთან გვერდის მომხმარებლების კომენტარების დაკავშირების პრობლემას. გარდა ამისა, პირდაპირი ჩართვების დროს, მომხმარებლები წამყვანებს ან პირდაპირ ეთერში მყოფ რესპონდენტებს პასუხობდნენ, რაც ქმნიდა კომენტარების დაკავშირების პრობლემას კონკრეტულ ახალ ამბებთან და მათ შინაარსებთან.

მიუხედავად ამისა, მთავარი არხის გვერდზე შეგროვებული მონაცემებიც ეხმიანება ანგარიშის ფარგლებში განსახილველ ძირითად კატეგორიებს.

მარნეული

მთავარი არხის შემთხვევაშიც მარნეულთან დაკავშირებით გვერდის მომხმარებლების ნეგატიური განწყობის მიზეზი იყო მარნეულის მოსახლეობის მიერ ქართული ენის არცოდნა ან ვირუსის არარსებობის რწმენა.

,,რატომ უთარგნიან ამ ხალხს ვერ გავიგე, მიუჩვევიათ მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოში ცხოვრობდე და ქართული არ იცოდე სახელმწიფო ენა ეს უკვე სირცხვილია, რით ვეღარ ისწავლეს, ვერ კიარა არ სწავლობენ იმიტომ რომ უთარგნმიან გეგონება სხვა სახელმწიფოში ცხოვრობდნენ." #62

,,კაროჩე აქ ჩვდნთან რუსეთში არც პანიკა და არც პირბადებით არ დადიან საერთოდ არ არის და არც იგრძნობა და ხალხი ცხოვრობს როგორც ყოველთვის ევროპა და საქართველოში მე მგონია ხალხს TV ავრცელებენ დეზ და პანიკას თესავთ ხალხში განა შეიძლება ამდენი ყოველ წუთს ერთდა იგივე ლაპარაკი." #63

,,მატყუარა ექიმები ხართ. უკვე არაფერია დასაჯერებელი." #64

,,მეც არ მჯერა. ეს ვირუსი ჩვენთან არ არიიის!!!!" #65

მიუხედავად იმისა, რომ მთავარი არხის ფეისბუქის გვერდიდან მწირი მონაცემები შეგროვდა, იყო ერთი გახმაურებული შემთხვევა: 2020 წლის 5 აპრილს, მთავარი არხის ეთერში გადაცემა „Post Factum-ში" გავიდა სიუჟეტი ,,გენები კორონას წინააღმდეგ"[26], სადაც წამყვანი და სიუჟეტის ავტორები საუბრობდნენ გენების მნიშვნელობაზე კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში. სიუჟეტი ეფუძნებოდა მეცნიერების მიერ გამოთქმულ ვარაუდებს ქართული გენის უპირატესობაზე და არა დადასტურებულ ფაქტებს. გადაცემის წამყვანმა სიუჟეტის დასრულების შემდეგ სომეხი მეცნიერების მისამართით სარკასტული რეპლიკა გააკეთა: „ძალიან მაინტერესებს ჩვენი მეზობლები რომელ გენეტიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. დარწმუნებული ვარ, აღმოჩნდება, რომ მათი დნმ-ი ქართველებისაზე ძლიერია და კორონავირუსს პირდაპირ ანადგურებს, ვაქცინა და მედიკამენტიც კი არ სჭირდება".

გადაცემის მსვლელობისას, მაყურებელს ჰქონდა საშუალება, ფეისბუქის პირდაპირი ეთერის დროს იმ სიუჟეტზე გაეკეთებინა კომენტარები, რომელსაც თავად უყურებდა. სიუჟეტი „გენები კორონას წინააღმდეგ" - მხოლოდ ორი კომენტარით შემოიფარგლა, სადაც გაზიარებულია სიუჟეტის პათოსი ქართული და მაშასადამე, მართლმადიდებლური გენების უპირატესობის შესახებ:

„ღვისმშობლის წილხვედრი გენები". #66

„ქართველები უნდა გავმრავლდეთ და გავხდეთ მილიონები !!" #67

სოციალურ ქსელ ფეისბუქში, მთავარი არხის ძირითადი საინფორმაციო სივრცე, განსაკუთრებით საგანგებო მდგომარეობის დროს, პირდაპირ ჩართვებს (ლაივებს) ეჭირა. ამ გვერდის მომხმარებლების კომენტარები პირდაპირ ეთერში მიმდინარე მოვლენას ეხება - მომხმარებლები დიალოგის რეჟიმში ეხმაურებიან იმას, რაც ეთერში გადის. გვერდის აქტიური მომხმარებლები პირდაპირი ეთერის დროს ერთმანეთს ეკამათებიან, პასუხობენ ან იყენებენ არავერბალურ ენას (სოციალური ქსელისთვის დამახასიათებელ ვიზუალური გამომსახველობის საშუალებებს: სტიკერებს, გიფებს). ასევე, ხშირია,

[26] "მთავარი არხის" გადაცემა „Post Factum"-ის სიუჟეტი „გენები კორონას წინააღმდეგ" (07:45-21:40); 05/04/2020; https://bit.ly/38F7Nw3

ასევე, ხშირია, როდესაც კომენტარის ავტორები კითხვებს უსვამენ, მიმართავენ ან „ესაუბრებიან“ პირდაპირ ეთერში გამომსვლელ ადამიანს. ინტერნეტ მომხმარებლის ასეთი კომენტარები (ქცევა) ფრაგმენტულია და არ წარმოდგენს კვლევისთვის რელევანტურ ტექსტურ მასალას - ხშირად, ის არის პირდაპირ ეთერში მოსაუბრე ადამიანის აზრებსა თუ კომენტარზე გაკეთებული ირონიული, ცინიკური პასუხი ან შეკითხვა, რომლის სრულად გასაგებად მთლიანი დიალოგის რეკონსტრუქციაა საჭირო. ამის გამო, „მთავარი არხის“ გვერდის კომენტარების დიდი ნაწილი წინამდებარე კვლევის მიღმა დარჩა.

პირველი არხი

პირველი არხის ფეიბუქის გვერდს 335,638 მომწონებელი და 411,126 მიმდევარი ჰყავს. არხს აქვს ვებგვერდი http://1tv.ge/.

პირველი არხის ფეისბუქის გვერდიდან შეგროვებული მონაცემებიც მარნეულის, რელიგიისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, ევროკავშირისა და ტურიზმის კატეგორიებში გადანაწილდა.

მარნეული

პირველი არხის მომხმარებლების კომენტარები მარნეულში დაფიქსირებულ კორონავირუსის შემთხვევაზე ადგილობრივთა მიერ ქართული ენის არცოდნას, მათ ეთნიკურ მიკუთვნებულობას ეხებოდა.

,,თუ თქვენი მშობლიური ენა აზერბაიჯანულია მიბრძანდით თქვენ მშობლიურ ქვეყანაში.....თუ არა და ნება იბოძოს ყველამ და ისწავლოს ქართული..” #68

,,კეთილი ინებონ და ისწავლონ ქართული ენა თუ საქართველოში ცხოვრება უნდათ, აძლევენ აზერბაიჯანში, სომხეთში ან თურქეთში ქართველებს უფლებას რომ ქართულად ისწავლებოდეს სკოლებში, ან თუ საერთოდ არსებობს ქართული სკოლები” #69

,,ქართული ენა არ იციან, ქართულ არხებს არ უყურებენ და დახმარებას ქართველი ხალხის და მთავრობისგან ითხოვენ, დიახ ყველა ერის და რწმენის ადამიანმა რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, დაიბადა და გაიზარდა ჩვენს ქვეყანაში, ნება უნდა იბოძოს და ისწავლოს ქართული ენა!” #70

„Vinc qartuli aricis moqalaqeoba unda chamoertvas mere naxe iswavlian tu ara” #71

„Unda sheetanat mec imat gverdit var samudamo miusajon marneulis im mcxivrebs vins aset dgeshi chagvagdo is unamuso dzroxa qali neta gadarches ro chven davwvat bindzuri azerebs zogadad ar uyvart sisuptave marneuli yars mtlianad ertxel var namyopi.” #72

,,ყველა უნდა ჩასვათ ამათ გამო ჩვენც ვინც ამდენი ხანი კარანტილში ვართ და ვიცავთ წესებს რა დავაშავეთ ამათ გამო სულ ჩაკეტეთ ერთი ომი რო მოაწყეს." #73

კომენტარების ავტორები კორონავირუსის პანდემიას უკავშირებენ აცრების გავრცელებასაც.

,,აცრებისთვის მიმდინარეობს პიარი არავინ არ გაიკეთოდ აცრები ეცადეთ იმუნური სისტემა გავიუმჯობესოდ რადგან ყველა ვირუსი ძლიერდება მაშინ როდესაც იმუნური სისტემა ქვეითდება." #74

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

კომენტარების მიხედვით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ ორი ტიპის დამოკიდებულება ვლინდება. პირველი უშუალოდ ორგანიზაციის მიმართ უნდობლობაა:

,,მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას მთლიანად ბილ გეითსი აფინანსებს. ამერიკამ კერძოდ ტრამპმა ერთი თვის წინ ძალიან სამართლიანად შეუწყვიტა 500 მილიონიანი დაფინანსება, რადგან მათი ქმედება მიუღებელი იყო. ფაქტიურად ბილ გეითსი გვაძლევს დირექტივებს. ასე რომ სწორი დასკვნები შეგვიძლია გამოვიტანოთ." #74

მეორე კი რასისტული და ქსენოფობიური შინაარსის კომენტარებია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ლიდერის გარეგნობისა და მისი კანის ფერის გამო:

,,ამ კაცს ჯალათის სახე აქვს ზედ აწერია შეინახონ ეს ვაქცინა ამერიკელებისტვის და ამ. დეგენერატ ჟურნალისტებისტვის ასე საამურად რომ გადმოსცემენ ეს საზიზ4რები." #75

,,ამ კაცს ისეთი სახე აქვს, როგორც ექიმს საშინელებათა ფილმებიდან, რომელიც ადამიანებზე ექსპერიმენტებს ატარებს." #76

,,რა სატანის სახე აქვს.ამას ესაუბრეთ? ფუ თქვენი.რა ურცხვად მიგყავთ გადაცემები ამ ჟურნალისტებს, აბა ვისაც ჩემსავით სტკივა გული თქვენს ადგილზე არაფრით დაჯდება, თქვე გულგაყინულებო." #77

,,რა სიფათი ააქვს .. ამას როგორ უნდა ენდო ადამიანი ..?..? უბრალო ადამიანებს შეგვეშვით არ გვჭირდება აცრები . თავად გაიკეთეთ ჩიპებიც და აცრებიც." #78

,,ამ კაცსს ექიმის სახე არ აქვს, უჟასების ფილმიდან მაგონებს მონსტრს, შეკრულია ბილ გეითთან, ვაქცინა გაიკეთონ თვითონ და ჩვენმა მთავრობამ და ექიმებმა, მე არ ვიჩიპები თვითონ არიან კორონები თავისუფლებას პირობას მოუკლია ადამიანი რაღა თქვენ შიმშილით სახლებში გამოკეტილი ადამიანი, იტალიამ მოხსნა და თქვენ რას ელოდებით." #79

,,ჯერ რო შეხედავ შეგედინდება მერე რო დაიწყებს ლაპარაკს წნევა მიწევს ნერვოზი გამიჩინა ამოწყდი შენ და შენაირი პანიკის შემქნელებო ხალხი უფრო დავანტყოფეტ და დახოცეტ გულის შეტევებიტ ვიდრე მაგ კორონათი." #80

,,სახეზე შეხედეთ ყველაფერზეა ხელის მომწერი ოღონდ მილიარდები ჩაიჯიბოს." #81

,,ამ კაცის შემხედვარეს ვირუსი თუ არა ინფაქტი დაგემართება." #82

,,მსოფლიოს საფრთხობელა-ჯანმო! ტედროს გებრეისუსი - გასულ 24 საათში მსოფლიოში „კოვიდ 19"-ის ახალი შემთხვევების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა." #83

,,ამ ჯანმომ ჯერ ხომ პედერასტია ამოიღო ავადმყოფობის სიიდან და ეხლა ავადმყოფობის სიაში ჰომოფობიის შეტანას აპირებს. აღარაფერს ვამბობ ბავშვების სქესის შეცვლის თემაზე. ამას ჭკუიდან გადავყავარ! დროზე უნდა მოეღოს ბოლო ყოველგვარი გაუკუღმართების ნორმად გამოცხადებას!" #84

მედია

ჟურნალისტების მიმართ გამოთქმულ კომენტარებში ორი ძირითადი განწყობა გამოიყოფა. პირველია უნდობლობა და სიცრუის ტირაჟირებაში მათი დადანაშაულება:

,,ჟურნალისტებო აღარ დადგა დრო თქვათ რომ მეტს ვეღარ მოვატყუებთ ქართველს ერს დაფიქრდით რამდენი რამე შეგიძლიათ და არაფერს არ აკეთებთ ტყულების ტირაჟირების გრცხვენოდეთ თქვენ ადამიანებს უბედურებს ხდით." #85

მეორე გამოკვეთილი განწყობა კი, ქართულად მეტყველებასა და ქართულ ენას ეხება:

,,კარგია მაგრამ ჯერ პირველი არხის ჟურნალისტებმა ისაუბრეთ ქართულად. კლასტერი, კოჰაბიტაცია, ნიუსი, ფეიკი, ლეტალური და ა.შ." #86

ტურიზმი

ჯერ კიდევ საგანგებო მდგომარეობის პირობებში, 7 მაისს, ,,საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში არსებული ეკონომიკური ჯგუფის სხდომაზე ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმის წარდგენა გაიმართა[27]." პირველი არხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მოიცავდა ტურიზმისა და უცხოელი ტურისტებისთვის საზღვრების გახსნის თემას, რაც მოტივირებული იყო ადგილობრივი ეკონომიკის ამუშავებითა და მხარდაჭერით. ამ განცხადებებმა გვერდის მომხმარებლებში აგრესია და ნეგატიური განწყობა გამოიწვია მთავრობის მიმართ და კიდევ უფრო გააძლიერა და წაახალისა ვირუსის არარსებობის რწმენა თუ ინფექციონისტების მიმართ უნდობლობა.

,,აღდჰომის მერე კუბოებსაც გვიმზადებდით მოშორდით მაიდან.ენები დაიდუმეთ რა. საერთოდ ტურიზმი უნდა შეჩერდეს მინიმუმ 1-2 წელი!!!" #87

[27] ნათია თურნავამ ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა წარადგინა; 07/05/2020; http://www.economy.ge/index.php?page=news&nw=1479

,,საკმარისია უკვრ ეს ბოდვა,აზრზე მოდით და მომავალ თაობას ნორმალური ცხოვრების და სწავლის საშუალება მიეცით... ხალხი ხო ჩაკეტეთ ეხლა ბავშები სკოლაში ვერ მივლენ ტურიზმს ხნით და ქალაქში გადადგილების საშვალება არ გქვაქს თქვენ სასარგებლოდ ყელაფერს აკეთებთ ბატონო პატა იმ განცხადებების გამო როდესაც ტელევიზიით გაკიოდით და მოსახლეობას აშანტაჟებდით არ გეგონოს რომ რამე შეგრჩებათ მაგის დროც დაგიდგებათ სულგაყიდულო ვაიპატრიოტებო. ეს ხომ აფიორა არის არაფრის გულისთვის ანერვიულებთ ხალხს.ძალიან დიდ დაკვეთას ასრულებთ. არ შემოუშვატ ტურისტები წელს და არანაირი საშიშროება არ იქნება.“ #88

,,ჯერ იმ ხალხს მიხედე შიმშილით რომ იხოცებიან და მერე ტურიზმს თქვე ადამიანობა დაკარგულებო. საკუთარ ერს გენოციდს რომ უწყობთ.” #89

,,ისე ჯერ სჯობია რომ მიიღოტ საქარტველოს მოქალაქები ემიგრანტები ვისაც უნდა წასვლა. რომ დაბრუნდნენ საქარტველოშიიიიი და მერე სტუმრები.” #90

,,საგანგებო მდგომარეობა არაა გაუქმებული და ტურისტებს ეპატიჟება, საარჩევნოდ რომ ააყირაოს მდგომარეობა და იმ დროისთვის ამთხვევს ეს პატრონივით გაქუცული აფირისტი, ტურიზმით ააყვავებენ თავიანთ ოჯახებს, ისევ მდიდრები უნდა გაამდიდრონ აბა საშუალო ფენის დარდი ვის აქვს, ამ წურბელებმა ხურდებიც კი არ მოუყარა.” #91

,,რააზრი აქვს კორონა მოგკლავს თუ ამდენი უმოქმედობა, გაჭირვება, შიმშილი, ვალები, დეპრესია და უბრალოდ უინტერესო ცხოვრება?! უკვე ძაან წაიღეთ ტვინი თქვენი კორონა პანდემიით.” #92

რელიგია

პირველი არხის მომხმარებლებმა პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ეკლესიაზე გავრცელება რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლად აღიქვეს და ისტორიულ გამოცდილებას დაუკავშირეს.

,,ამხელა უბედურება ტრიალებს მსოფლიოში და კიდევ ეკლესიაზე ქილიკობთ და დასცინით. რატომ ვერ ხვდებით, რომ ცოდვების გამოა?! ამხელა უბედურება ტრიალებს მსოფლიოში და კიდევ ეკლესიაზე ქილიკობთ და დასცინით. რატომ ვერ ხვდებით, რომ ცოდვების გამოა?!” #93

,,საქართველომ რომ გაიხაროს და საუკუნეების მანძილზე ტანჯვაში და სისხლში იხრჩობა, ომი ომზე , მოღალატეები გარშემო, ერის დაქუცმაცება, ერის გაერთიანება მერე ისევ დაქუცმაცება , დღეაც ტერიტორიებს გვართმევენ . ერთი გამსახურდია გვყავდა და ისიც არ გაახარეთ ... ეს ვისი ჯილოდოა 30 წლიან ჯოჯოხეთში რომ ვართ ?” #94

,,საქართველო იყო, არის და სამარადჟამოდ იქნება მართლმადიდებელთა ქვეყანა-ამ ჭეშმარიტებას ვერავინ და ვერაფერი ვერ შეცვლის, რამდენი საუკუნეც არ უნდა გავიდეს!” #95

პირველი არხის კომენტარებში გამოიკვეთა ორი ძირითადი დამოკიდებულება. პირველი შეეხებოდა ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას:

,,კორონა რომ ჩაივლის ბევრი ქვეყანა გავა ევროკავშირიდან და ნატოდან, რა ფეხებად გინდა ისეათ კავშირში ყოფნა სადაც, გაჭირვების დროს არ დაგეხმარებიან!!! " #96

,,მსოფლიო ეხლა საქართველოს შენატრის. აქამდე იძახდნენ ნატოში შესვლა და და ახლა პირიქით ყველას საქართველოში უნდა." #97

,,თქვენ გამოფხიზლდით რას აკეთებთ ფულის სანაცვლოთ სამშობლო და ხალხი ფეხებზე დაიკიდეთ რას გვიშვებით სახლში გკვეტავთ თქვენ მზაკვრულ გეგმებს აკეთებტ მოვკვდეთისე რაღა მასონებს დავახოცინოთ თავი მკურნალობთ ხალხს." #98

,,კანონამდე კაცობა და ქართველობა ჭეშმარიტი ქართველობა შეითავისო და ატარო იმას გირჩევდი, კანონი და მისი უზენაესობა, ჰუმანიზმის გარეშე, იგივეა, იყო შეპყრობილი ადამიანთა დამონების გზას... შენ არ უნდა გებარებოდეს კანონის მართვა არა და არა, გაქვავებულ რობოტს, რომლის ნდობაც კი წარმოუდგენელია ერთი წამითაც...საკუთარი დედა თუ გენდობა რამეში თორემ, რა გიკეთებიათ ტყუილის, თაღლითობისა და მანიპულირების გარდა? ამ ქვეყნის დასაქცევად? კანონი ბედნიერს ვერ ხდის ადამიანს, კანონი ისიც დემოკრატიიდან გადახვეული, დამონებას ექვემდებარება... ვინც შენ კანონი ჩაგაბარა, ჯერ იმას აქვს მოსათხოვი და მერე შენ ყურმოჭრილ მონად დამსგავსებულ ვაი ფუტურო თავს..." #99

ხოლო მეორე განწყობა, ევროკავშირის სოციალურ დახმარებას შეეხებოდა, სადაც კომენტარების ავტორები ეჭვს გამოთქვამენ დახმარების მიზნობრივად და სამართლიანად გადანაწილების შესახებ:

,,ნეტა როდის მიხვდება მსოფლიო რო ხალხამდე არაფერი მიდის და მარტო მთავრობას ამდიდრებენ ,კაპიკიც არ უნდა გადმორიცხოს არავინ, ეყოთ რაც შეჭამეს." #100

,,აზრი? უბრალო მოკვდავამდე 1 თეთრიც არ მიდის და ზემდგომებმა განა რამდენი უნდა აიღონ ხალხის წყალობით.. გაერო კორონავირუსის პანდემიაზე რეაგირებისთვის საქართველოს დასახმარებლად ერთ მილიონ დოლარს გამოყოფს." #101

მონაცემთა შეჯამება

წინამდებარე ანგარიშში განხილულია ინტერნეტ-მომხმარებლების მიერ შექმნილი მონაცემები. კომენტარების შინაარსი, შესაძლოა, განპირობებული იყოს კონკრეტული მედია საშუალების იდეოლოგიური მიკუთვნებულობით, საჯარო პოზიციითა თუ სხვა პოლიტიკური აფილაციით, თუმცა, მათი რაოდენობა და განსხვავებული მედია პლატფორმების მონაცემების ერთობლიობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კომენტარები ერთიანი და უფრო ფართო დისკურსის ნაწილია, ვიდრე მხოლოდ ერთი მედია საშუალების პლატფორმა.

სოციალურ მეცნიერებებში არსებობს შეხედულება, რომ ზიზღი (disgust) ადამიანებში წაახალისებს კონსერვატიულ განწყობებს ნეგატიური შედეგის თავიდან ასარიდებლად, თუმცა არსებობს უფრო თანამედროვე შეხედულებაც, რომ ზიზღი (disgust) ესწრაფვის დამცავ (protective) პოლიტიკურ პროგრამებს, იქნება ის ლიბერალური თუ კონსერვატიული (Aarøe; Petersen; Arceneaux; 2017).

წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული მონაცემები აჩვენებს, რომ კორონავირუსის პანდემიის პირობებში ვირუსის გავრცელებისა თუ დაავადების შიში, ეკონომიკური კრიზისი, ფიზიკური დისტანცირება, მუდმივად ნეგატიური, ცვალებადი ინფორმაცია და გაურკვეველი, არაპროგნოზირებადი მომავალი ადამიანების რწმენა-წარმოდგენებსა თუ სოციალურ ქცევას უფრო კონსერვატიული და პროტექციონისტული პოზიციებისკენ მიმართავს. წინამდებარე ანგარიშში ნათლად ჩანს ძლიერი მორალური კრიტიკა საქართველოს იმ მოქალაქეების მიმართ, ვინც სრულყოფილად ან საერთოდ არ იცის ქართული ენა, იქნებიან ეს ჟურნალისტები თუ ეთნიკური ჯგუფები; ასევე, უარყოფითი რეაქცია პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე ადგილობრივი წარმოების წახალისების შესახებ _ ,,ყველა ბიზნესმენს, ვისაც შეუძლია, შექმნას ადგილობრივი წარმოება, პირადად მე და მთავრობა გვერდში დავუდგებით."[28]

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წამყვანი ემოცია შიში და მიუღებლობაა, რომელსაც ნაციონალისტური და რელიგიური იდენტობები წარმართავს. ასეთი მოცემულობა, ასევე, განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკურ სფეროში ტურიზმის დომინირებით (შემოსავლები და დასაქმება). საქართველოს ფინანსთა სამინსიტროს 2019 წლის ანგარიშში წერია, რომ ,,ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2019 წლის მარტში ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 600 ათასი შეადგინა, რაც წინა წლის მარტთან შედარებით 3.8 პროცენტით მეტია[29]." საგანგებო მდგომარეობის პირობებში, იზოლაციასა თუ კარანტინში მყოფი ადამიანებისთვის, უცხოელი ტურისტებისთვის საზღვრის გახსნის შესახებ ინფორმაცია, შესაძლოა, კიდევ ერთი მიზეზი გახდეს ქსენოფობიური განწყობებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნაბიჯი ეკონომიკური კრიზისისგან თავის არიდებით არის მოტივირებული.

[28] გიორგი გახარია - ყველა ბიზნესმენს, ვისაც შეუძლია, შექმნას ადგილობრივი წარმოება, პირადად მე და მთავრობა გვერდში დავუდგებით; 28/03/2020; https://bit.ly/2ZHUFlQ

[29] მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; 2019; https://bit.ly/2Cgff4A

COVID-19-ის გავრცელების ფონზე საქართველოში საინფორმაციო და ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის, ქსენოფობიის, რასიზმის, ძალადობრივი და რადიკალური მოწოდების შემცველი ნარატივების ტენდენციების მონიტორინგი

(ანგარიშის მოკლე მიმოხილვა)

2020 წლის 11 მარტს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. გარდა პანდემიისა, ახალი კოვიდ-19 ინფოდემიადაც გამოცხადდა. სწორედ ამიტომ, ინფორმაციის გავრცელებამ და მისმა გავლენამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ვირუსის გადაცემის ყოველი ახალი შემთხვევა მედიაში მის გეოგრაფიულ არეალთან ერთად ცხადდება, რაც ქსენოფობიური თუ რასისტული განწყობების გასაღვივებლად ნოყიერ ნიადაგს ქმნის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მედიას არ გააჩნია პანდემიისა და მასთან დაკავშირებულ ინფოდემიასთან ბრძოლის გამოცდილება და სტრატეგია.

დაავადების მუდმივი რისკისა და შიშის ქვეშ ცხოვრება, იზოლაცია, გაურკვეველი მომავალი და ეკონომიკური კრიზისი ადამიანებს უფრო კონსერვატული განწყობებისკენ წაახალისებს. განსაკუთრებით იზრდება ნეგატიური დამოკიდებულება განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების მიმართ. მაგალითად, თუ ვირუსამდე პერიოდში, ადამიანები ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას სხვა კულტურის ადამიანების იმ ქცევას, რაც დღეს ვირუსის პრევენციის ზომად მიიჩნევა (ხელების ხშირი დაბანა, პირბადის ტარება ან ფიზიკური დისტანციის დაცვა), დღეს ამ ყველაფერზე დაკვირვება გამძაფრებულია უცხოს მიერ ვირუსის უნებლიეთ (ან განზრახ) გავრცელების შიშით (Schaller).

ანგარიშის მიზანს წარმოადგენდა ახალი კორონავირუსის გავრცელების შემდეგ ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა უმცირესობების მიმართ ქსენოფობიური და რასისტული განწყობების შინაარსისა და მახასიათებლების ტენდენციების გამოკვეთა. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. ასევე, კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფდა.

კვლევის მონაცემების მრავალფეროვნებისა და ფართო სურათის საჩვენებლად, შეირჩა ერთმანეთისგან განსხვავებული მედია საშუალებების ფეისბუქის გვერდები: TV იმედი, მთავარი არხი, პირველი არხი და ალტ-ინფო, როგორც კონსერვატიული ონლაინ მედია.

კვლევის პროცესში ჯამში შეგროვდა 4 ფეისბუქის გვერდის 450-ზე მეტი პოსტის 700 კომენტარი. შეგროვებული მონაცემების მიხედვით ჩამოყალიბდა შემდეგი თემატური კატეგორიები: რელიგია, მარნეული, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ჩინეთი, ევროკავშირი, მედია, ტურიზმი, 5G ქსელის ტექნოლოგია. ჩამოთვლილი კატეგორიები განხილულია ახალი კორონავირუსის პანდემიის კონტექსტში და ის საერთო იყო ოთხივე საკვლევი მედიის ფეისბუქის პლატფორმის კომენტარებისათვის.

ძირითადი მიგნებები:

მედია

- მედია ასოცირდება ლიბერალურ იდეოლოგიასთან ან უცხოეთიდან დაფინანსებულ ჯგუფებთან, რომელსაც კონკრეტული დავალება, ამ შემთხვევაში, ეკლესიის როლის დაკნინება აქვს დავალებული;
- ჟურნალისტების მიმართ უნდობლობა და სიცრუის ტირაჟირებაში მათი დადანაშაულება;
- ჟურნალისტების მიერ ქართული ენის არცოდნა, გამართული ქართულით მეტყველების პრობლემა;
- ლიბერალური იდეოლოგიის გამტარი მედიის მიმართ იმედგაცრუება და უნდობლობა;

რელიგია

- პანდემია, როგორც მართლმადიდებელი ქართველების წინაშე არსებული განსაცდელი, გამოცდა;
- მრევლის ნაწილში პანდემია და ვირუსი ხელოვნური ან არარსებული მოვლენაა, რომელიც მასონების ან სატანის ჩარევით განხორციელდა ქრისტიანი მართლმადიდებლების, ქართველების გამოსაცდელად;
- მრევლის ნაწილმა პანდემია და ეკლესიაში მისვლის დროებით შეზღუდვაზე მიმდინარე დისკუსია მიიღო, როგორც მათი რელიგიის წინაშე არსებული განსაცდელი და რწმენის გამოცდა;

  პანდემია არ არსებობს და ეკლესიის დროებითი დახურვა საქართველოს ხარკია იმ დახმარების სანაცვლოდ, რასაც ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს;
- რელიგიური დღესასწაულის დროს ექიმების განცხადებების, შეზღუდვების დაწესებისა თუ მათი დაცვისკენ მოწოდებების გამო, ინფექციონისტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება;
- ეკლესიისა და მრევლის მიერ დროებითი შეზღუდვები ქრისტიანების დევნად იქნა აღქმული;

ევროკავშირი

- იტალიასა და ესპანეთში კორონავირუსის გავრცელების მაღალი ხარისხი და ევროკავშირის საპასუხო ქმედებები, ქართული ულტრაკონსერვატიული განწყობებისთვის ევროსკეპტიციზმის ძლიერი საბაბი აღმოჩნდა;

მარნეული

- მარნეულის შემთხვევაზე არსებული კომენტარები შეეხებოდა ნაციონალური იდენტობის სამ ასპექტს: მარნეულის მაცხოვრებელთა ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიასა და ქართული ენის არცოდნას/ენის საკითხს;

ჩინეთი

- ჩინეთის მიმართ არსებულ განწყობებში დომინირებდა უარყოფითი დამოკიდებულება პანდემიის შესახებ ინფორმაციის დროულად არგავრცელების გამო, ჩინეთის მიმართ გამოძიების დაწყების მოთხოვნა და მისი დასჯა ჩინური პროდუქციისთვის ბოიკოტის გამოცხადებით;

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

- სკეპტიციზმი და უნდობლობა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ; მისი ლიბერალური იდეოლოგიის გამტარებლად აღქმა, ორგანიზაციის მიერ წარსულში მიღებული გადაწვეტილებების - გენდერული პოლიტიკისა თუ ჰომოსექსუალობის დაავადებათა სიიდან ამოღების გამო;

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ გამოხატული უნდობლობა პანდემიის დროულად არგამოცხადების გამო;

- რასისტული და ქსენოფობიური შინაარსის კომენტარები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ლიდერის გარეგნობის მიმართ და მისი კანის ფერის გამო;

- კორონავირუსი და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები თუ ცვლილებები ხელს შეუწყობს ვაქცინის მომხრეების რაოდენობის ზრდას. პანდემიას კომენტარების ავტორების ნაწილი გლობალურად მართულ პროცესად მიიჩნევს, რათა ვაქცინები, ჩიპები და 5G ქსელური ტექნოლოგია გავრცელდეს.

ტურიზმი

- მთავრობის მიერ ჯერ კიდევ საგანგებო მდგომარეობის პირობებში ტურიზმის ანტიკრიზისული გეგმის გამოცხადებამ და ტურისტებისთვის საზღვრების გახსნის

დაანონსებამ მთავრობის მიმართ ნეგატიური განწყობა გააჩინა და კიდევ უფრო გააძლიერა და წაახალისა ვირუსის (არ)არსებობის რწმენა თუ ინფექციონისტების მიმართ უნდობლობა.

სოციალურ მეცნიერებებში არსებობს შეხედულება, რომ ზიზღი (disgust) ადამიანებში წაახალისებს კონსერვატიულ განწყობებს ნეგატიური შედეგის თავიდან ასარიდებლად, თუმცა, არსებობს უფრო თანამედროვე შეხედულებაც, რომ ზიზღი (disgust) ესწრაფვის დამცავ ("protective") პოლიტიკურ პროგრამებს, იქნება ის ლიბერალური თუ კონსერვატიული (Aarøe; Petersen; Arceneaux; 2017).

წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული მონაცემები აჩვენებს, რომ კორონავირუსის პანდემიის პირობებში ვირუსის გავრცელებისა თუ დაავადების შიში, ეკონომიკური კრიზისი, ფიზიკური დისტანცირება, მუდმივად ნეგატიური, ცვალებადი ინფორმაცია და გაურკვეველი, არაპროგნოზირებადი მომავალი ადამიანების რწმენა-წარმოდგენებსა თუ სოციალურ ქცევას უფრო კონსერვატიული და თავდაცვითი პოზიციებისკენ მიმართავს.

ვირუსთან დაკავშირებული მონაცემები და ინფორმაცია ძალიან სწრაფად იცვლება. განწყობებიც, შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს. წარმოდგენილი მონაცემები და შესაბამისი მიგნებები ასახავს 2020 წლის 22 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით არსებულს პერიოდს.

Bibliography

1. Aarøe, Lene, et al. “The Behavioral Immune System Shapes Political Intuitions: Why and How Individual Differences in Disgust Sensitivity Underlie Opposition to Immigration.” American Political Science Review, vol. 111, no. 2, 2017, pp. 277–294. doi:10.1017/s0003055416000770.

2.Ben Walker Lecturer (Management), et al. “Creating New Social Divides: How Coronavirus Is Reshaping How We See Ourselves and the World around Us.” The Conversation, 23 June 2020, theconversation.com/creating-new-social-divides-how-coronavirus-is-reshaping-how-we-see-ourselves-and-the-world-around-us-137485.

3.Billings, Molly. “The Influenza Pandemic of 1918.” The 1918 Influenza Pandemic, 1997, stanford.io/2BOuyBF.

4. Branscombe, Mary. “The Network Impact of the Global COVID-19 Pandemic.” The New Stack, 15 Apr. 2020, thenewstack.io/the-network-impact-of-the-global-covid-19-pandemic/.

5. Department of Global Communications. “UN Tackles 'Infodemic' of Misinformation and Cybercrime in COVID-19 Crisis.” United Nations, United Nations, 2020, www.un.org/en/un-coronavirus-communications-team/un-tackling-%E2%80%98infodemic%E2%80%99-misinformation-and-cybercrime-covid-19.

6. “The Fear of Coronavirus Is Changing Our Psychology.” BBC Future, BBC, www.bbc.com/future/article/20200401-covid-19-how-fear-of-coronavirus-is-changing-our-psychology.

7. Garza, Alejandro de la. “How Social Media Is Shaping Our Fears of the Coronavirus.” Time, Time, 16 Mar. 2020, time.com/5802802/social-media-coronavirus/.

8. “Novel Coronavirus(2019-NCoV) Situation Report - 13.” Https://Www.who.int/, World Health Organization, 2 Feb. 2020, www.who.int/docs/default-source/coronaviruse/situation-reports/20200202-sitrep-13-ncov-v3.pdf?sfvrsn=195f4010_6.

9. On.ge. “საქართველოში ყოველი მეოთხე ადამიანი ინფორმაციას ინტერნეტით იღებს (1 in 4 persons in Georgia receives information using internet). - NDI.” On.ge, On.ge, 16 Jan. 2020, bit.ly/2zdaQ1e.

10.“მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები (Current Economic Trends).” Https://Mof.ge/, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (Georgian Ministry of Finances), Apr. 2019, mof.ge/images/File/2019-publikaciebi/Outlook-April-2019_GEO.pdf.

11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (National Statistics Office of Georgia). “საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში (2019 წელი) (Usage of Information and communication technologies in housholds).” Https://Www.geostat.ge/, 13 Sept. 2019, www.geostat.ge/media/26764/ICT_Release_2019-(Geo).pdf.

12. “შემცირდა ინფორმაციის პირველწყაროდ ტელევიზიის გამოყენება, ნდობა 'რ 2-ის' და 'იმედის' მიმართ - NDI-ს კვლევა მედიაზე (Usage of television as the primary source of information has decreased, trust to R2 and Imedi TV – NDI’s research on media).” Bitly, Https://Www.mediachecker.ge/, 16 Jan. 2020, bit.ly/3cIksil.

GCSD

(+032) 2 222 667 facebook.com/GCSDorg gcsd@gcsd.org.ge